ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

რატომ ერჩის გუგული მაღრაძე ილიკოს, ილარიონსა და ჩცდ-ს

გვ.4

6 აპრილიდან

საბავშვო ბიბლია

ფასი გაზეთთან ერთად 24 ლარი

პარასკევი, 7 აპრილი, 2017 №82 (7317) ფასი: 50 თეთრი

„მარგველაშვილს დღესაც ივანიშვილი მართავს“

გვ.2

მამუკა გამყრელიძე: „რაც ხდება, ყველაფერი თამაშია“

ადვოკატი: „მამა გიორგი მამალაძე დაუძლურებულია“

გვ.3

დაკავებულმა დეკანოზმა ოჯახისთვის დაცვის მოხსნა მოითხოვა

გახდება თუ არა საჯარო ციანიდის საქმე

სოსო ცისკარიშვილი: „არ მესმის, ახლა რატომ უნდა გადადგეს კვირიკაშვილი“

გვ.3



გვ.7

მარინე ცუცქირიძე: „გუკა რჩეულიშვილი პროკურატურასთან მოლაპარაკებაში ჩაერთვება“

გვ.4

„ოცნება“ ნაძარცვი ბიუჯეტის შევსებას მნევლების ხარჯზე აპირებს“

ბექან ნათელაშვილი: „ივანიშვილი მოწველას არის მიჩვეული“

სუსგა ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

ISSN 1987-9385

გვ.7

გვ.5

პეტრე მამრაძე: „რუსეთს შეუძლია, პატარა ქვეყანაში შემოვიდეს, გაანადგუროს და ბაზები დააყენოს“

ევროპაში სოროსს დაუპირისპირდნენ

გვ.5

„მარგველაშვილს დღესაც ივანიშვილი მართავს“

მამუკა გამყრელიძე: „რაც ხდება, ყველაფერი თამაშია“

ნონა ცაბაძე

დღეს პრეზიდენტს ყოველწლიური მოხსენებით პარლამენტში ელიან. სავარაუდოდ, მარგველაშვილის გამოსვლა დაძაბულობისა და დაპირისპირების ფონზე ჩაივლის.

ამ აჟიოტაჟსა და დაძაბულობას სპექტაკლს უწოდებს **მამუკა გამყრელიძე,** რომელიც „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

– ბატონო მამუკა, პარლამენტში დიდ ხმაურს ელოდებიან. რას ელით თქვენ?

– ეს ყველაფერი ხელოვნურად შექმნილ აჟიოტაჟს წააგავს. ერთს კი გეტყვით, არაფერს საინტერესოს მისგან არ ველოდები, ვფიქრობ, რომ ჩვეულებრივი მართული ფიგურაა.

– ვისგან მართული?

– ბიძინა ივანიშვილის მხრიდან, ამიტომ ეს პიროვნება ჩემში დიდ ინტერესს არ იწვევს.

– მაშინ, რა გამოდის, ეს დაპირისპირება, დაძაბულობა პრეზიდენტსა და მმართველ გუნდს შორის ხელოვნური და დადგმულია?

– მე ასე მიმაჩნია. პრეზიდენტმა მარგველაშვილმა აქტიურად დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია. ეს აშკარა და ყველასთვის ნათელია. ამის გაგრძელებას ველი პარლამენტშიც, თუმცა, რა თემით გამოვა და რას იტყვის, ჩემში ეს ინტერესს არ იწვევს. ჩემს თვალში ის ივანიშვილის მარიონეტია!

– კვლევების თანახმად, პოლიტიკოსების რეიტინგში გიორგი მარგველაშვილი ლიდერობს. ამას რით ახსნით?

– მე ესეც ხელოვნური მგონია, თუნდაც იმიტომ, რომ ნაციონალური მოძრაობიდან გამოყოფილ ევროპულ საქართველოს 7% აქვს. ჩემთვის გაუგებარია, რის საფუძველზე შეიძლება ჰქონდეს ამ ორგანიზაციას 7%? ამით ყველაფერი ნათქვამია ამ კვლევების სანდოობაზე.

– რის თქმა გინდათ, რომ ბევრია ევროპული საქართველოსთვის 7%?

– ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა რიგებში დიდი აგრესია გამოიწვია მათმა დემარშმა. სხვა ამომრჩეველი მაგათ არ ჰყოლიათ. ყველამ ვიცით, რომ ნაციონალური მოძრაობის ამომრჩევლის უდიდესი ნაწილი აქეთა მხარეს არის გადმოხრილი და რის ხარჯზე ხდება, 7%-ს რომ უწერენ?! ასე მარტივად ნურავინ შეხედავს. 7% არ არის დაბალი, ძალიან ბევრია! ამიტომ აბსოლუტურად არანაირი ნდობა არ მაქვს ამ რეიტინგების მიმართ!

– არც ხელისუფლებას აქვს ნდობა ამ კვლევების მიმართ და ერთ პოზიციაზე ხართ?

– სხვა რა უნდა თქვას, აბა, „ოცნებამ“?! დღეს მიმდინარეობს შემდეგი პროცესი: ალბათ, მოხდება ამ დაუვარცხნელი და შეუხედავი „ოცნების“ ჩანაცვლება ბევრად უფრო დავარცხნილი და დალაგებული ლიბერალური გაერთიანებით. ასევე აქტიურად მიმდინარეობს მართული ოპოზიციის შექმნის პროცესი.

– ნაციონალური მოძრაობა ჯერ კიდევ არ თმობს მთავარი ოპოზიციური პარტიის პოზიციას.

– ნაციონალური მოძრაობა ინერციით ცოტა ხანს კიდევ იქნება. შემდეგ ნელ-ნელა შეამცირებენ და მერე საბოლოოდ ჩაანაცვლებენ მართული ოპოზიციით.

– მართული ოპოზიციის შექმნის პროცესი მიმდინარეობსო და ვინ გაერთიანდება ამ ახალ ოპოზიციურ სპექტრში?

– იქმნება მართული ოპოზიცია, სადაც, არ არის გამორიცხული, რესპუბლიკელების, ალასანიას ყოფილი პარტიის, ახალი დემოკრატებისა და ამ ევროქოცების, ევროპული საქართველო რომ ჰქვიათ, გაერთიანება მოხდეს. მათ სათავეში თუ ჩაუდგება ყოფილი პრეზიდენტი მარგველაშვილის სახით ან ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილის სახით, ევროპელი ჩინოვნიკების თვალში ეს იქნება ძალიან ფასეული „მონაპოვარი“. ეს ძალიან მომხიბვლელი ვარიანტია, რომელიც ხელისუფლებისთვისაც მისაღები იქნება და შეიქმნება ისეთი „დემოკრატია“, რომელიც მთელ ევროპას გააოცებს.

– რა გამოდის, მარგველაშვილი ივანიშვილის დაკვეთით უპირისპირდება „ქართულ ოცნებას“?

– მე მარგველაშვილზე არასოდეს მქონია წარმოდგენა, როგორც ცალკე პოლიტიკურ ერთეულზე. ის ყოველთვის იყო და არის მართული ბიძინა ივანიშვილის მიერ. შენ რეზიდენცია არ შეიცვალე და ახლა გაგებუტები... კარგით, რა, მაგას ვინ ჭამს.

– ანუ ეს თამაშია?

– ამაში დარწმუნებული ვარ. მან თავისი მამა-მარჩენალისგან ძალიან ბევრი მიიღო, არაფრისგან პრეზიდენტად დასვა. ასე მარტივად ვერ განუდგებოდა. რაც დღეს ხდება, ყველაფერი თამაშია. თვითონაც ირთობენ თავს და ხალხსაც ართობენ. ეს სიტუაცია იმ მწყემსის ამბავს მახსენებს, ძალიან რომ ცივა და ცხვრები ვერ გაჰყავს საძოვარზე, კატას რომ ჩაუგდებს ტომარაში, ჩამოკიდებს და ცხვრებიც მთელი სამი დღე შესჩერებიან ტომარაში აჩხავლებულ კატას, სანამ არ გამოიდარებს.

– მოსახლეობის ყურადღების გადატანას ცდილობენ?

– ზუსტად იგივე ამბავია, ცდილობენ, ხალხის ყურადღება პრობლემებიდან ასეთ უმნიშვნელო საკითხებზე გადაიტანონ. ჩვენ ამ სიტუაციას ვხედავთ მუდმივად. რუსები მეტროებს აფეთქებენ იმისთვის, რომ ყურადღება გადაიტანონ და, მადლობა ღმერთს, ჩვენთან ბევრად უფრო მშვიდობიანი მეთოდია შერჩეული.

– „ოცნების“ რეიტინგი ძალიან დაბალია. თქვენ რას ფიქრობთ?

– დღეს დაბალია? რა პრობლემაა, როგორც კი დასჭირდებათ, მაშინვე გაზრდიან ამ 26%-ს 52%-მდე. განა ეს მათთვის პრობლემაა? ეს გასულმა არჩევნებმაც ხომ დაგვანახა.

– კვირიკა შვილის შეცვლაზეც აქტიურად საუბრობენ. გაუშვებენ პრემიერს სახლში?

– უკვე ექვსი თვეა ამბობენ, რომ კვირიკაშვილს აპრილში გახარიათი ჩაანაცვლებენ. აჰა, მოვიდა ეს აპრილიც და, ალბათ, შეცვლიან, მაგრამ რა მერე?! შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. კვირიკაშვილი იქნება პრემიერად, გახარია თუ სიკინჭილაშვილი, რა მნიშვნელობა აქვს ამას? არანაირი.

ამ ქვეყანას მართავს არაფორმალური ლიდერი, პატივცემული ბიძინა ივანიშვილი, მორჩა და დამთავრდა! ჩვენ შევედით ძალიან ხანგრძლივ პროცესში. ამ ადამიანმა მოახერხა პოლიტიკური პროცესების მთლიანი ნიველირება, მიწასთან გაასწორა ყველა და ყველაფერი. ერთადერთი რეალური ოპოზიცია არსებობს ნაციონალური მოძრაობის სახით და, პრაქტიკულად, ისიც დაშლილ და გაუბედურებულ მდგომარეობაშია. არც ფინანსური რესურსები აქვს შესაბამისი და არც ადამიანური. დღეს საზოგადოებაში მუხტი არ არის და არც არაფერს ველოდები.

– საზოგადოებაში პესიმისტური განწყობაა?

– ძალიან პესიმისტური. სანამ სერიოზული შეჯანჯღარება არ მოხდება ან საგარეო ფაქტორები არ იმოქმედებს, შესაძლოა, საგარეო ფაქტორი ისე ამოტრიალდეს, რომ ჩვენთან ყველაფერი სხვანაირად გადალაგდეს. ამ შემთხვევაში შეიძლება ველოდოთ რაიმე ახალს. ამ ეტაპზე შიგნით არც დაძაბულობაა შესაბამისი, არც სოციალური პრობლემატიკა დგას მწვავედ.

მიხეილ სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობის მიმართ საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილს აქვს შიში და სიძულვილი. ამ წლების განმავლობაში ვერც შიში მოიხსნა და ვერც სიძულვილი გაქარწყლდა.

– ამ ხელისუფლების მიმართ მსგავსი გრძნობა არ აქვს საზოგადოებას?

– „ოცნების“ ხელისუფლების მიმართ გაჩნდა უნდობლობა, გაღიზიანება, მაგრამ არც შიში აქვთ მისი და არც ზიზღი. აი, ეს შეძლო ბიძინა ივანიშვილმა. კი დასცინიან, ხეებს დაათრევს აქეთ-იქით, გიჟიაო, მაგრამ არ არის თვითონ ხელისუფლებაში და, რასაც უნდა, იმას იზამს. საზოგადოების ნაწილს იმის განცდაც არ აქვს, რომ ის მართავს ქვეყანას. ვინ რა იცის, კულუარებში რა ხდება. იმდენად ჭკვიანია, ამასაც ახერხებს. ხალხს არ აინტერესებს, რა ხდება. არც კრიმინალი მძვინვარებს იმ დოზით, რომ ხალხი ამის გამო დაისტრესოს. ცოტა კრიმინალმაც მოიმატა, ცოტა კორუფციამაც, მაგრამ ხალხი ამასაც შეეჩვია.

– როდის შეიცვლება ეს განწყობები საზოგადოებაში?

– არა მგონია, ოდესმე რამე შეიცვალოს. მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი იყო დევიაცია (ქცევა, რომელიც ეწინააღმდეგება მიღებულ ნორმებს – რედ. შენ.) ქართულ სინამდვილეში. ახლა ისევ ჩვეულ მდგომარეობას დავუბრუნდით.

– არც საარჩევნოდ შეიცვლება ვითარება?

– ამ არჩევნებზე აბსოლუტურად არაფერი შეიცვლება. „ოცნება“ ისევ დარჩება. ჩვენ „ოცნება“ მივიღეთ დიდი ხნით.

– მაინც რამდენი წლით?

– საგარეო ფაქტორში თუ არაფერი შეიცვალა, ჩვენ მივიღეთ „ოცნება“ 2030 წლამდე. ადგილობრივ არჩევნებზე ძალიან ბევრ რაღაცას დავინახავთ. ჩვენ დავინახავთ იმას, რომ რეალურად არჩევნები არ გვექნება. არჩევნები, როგორც მოვლენა, მოკვდა, აღარ არის და უახლოესი პერიოდის განმავლობაში ასე იქნება.

ირაკლი აბესაძე: „ვაიძულოთ ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, მოვიდეს პარლამენტში“

– მოგიწოდებთ, ვაიძულოთ ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, მოვიდეს პარლამენტში და გასცეს პასუხი მოსახლეობას. როდესაც რუსეთზე ვსაუბრობთ, უფრო მეტი ინტერესით უნდა ვცდილობდეთ სახელმწიფო ინტერესების დაცვას.

ამის შესახებ ევროპული საქართველოს წევრმა ირაკლი აბესაძემ პარლამენტში პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, ,,გაზპრომთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით არა მარტო ოპოზიცია, არამედ საპარლამენტო უმრავლესობაც უნდა ინტერესდებოდეს, რადგან საქმე სახელმწიფო ინტერესებს ეხება.

,,ქართული ოცნების“ წარმომადგენლებისგან მოვისმინე, რომ მოლაპარაკებებს ჰყავს ორი მხარე. ეს მართალია, მაგრამ ორივე მხარეს თავისი ინტერესები აქვს. როდესაც რუსეთზე ვსაუბრობთ, უფრო მეტი ინტერესით უნდა ვცდილობდეთ სახელმწიფოს ინტერესების დაცვას.

თუმცა, მოლაპარაკებების მაგიდასთან მუდმივად გვავიწყდება, რომ ხელშეკრულების პირობებში, მაქსიმალურად ორმხრივად უნდა იყოს მოცემული სახელმწიფო ინტერესები და არა მხოლოდ ,,გაზპრომისა“ და რუსეთის ინტერესზე უნდა ვზრუნავდეთ.

სახელმწიფო ინტერესია, საქართველოს ჰქონოდა გაზმომარაგების სტაბილური წყარო და, რაც მთავარია, ის ყოფილიყო შეძლებისდაგვარად იაფი, რადგან, საბოლოო ჯამში, ამ გაზის საფასურის გადამხდელები ჩვენი მოქალაქეები არიან.

,,გაზპრომიდან“ მიღებული გაზის მოცულობა დაახლოებით 15 პროცენტი იყო. მისი გაძვირების შემთხვევაში ის სავარაუდოდ პირდაპირ აისახება გაზის ტარიფზე. თქვენ არ გაინტერესებთ რამდენად გაზრდილი კომუნალური გადასახადის გადახდა მოუწევს მოსახლეობას. რამდენჯერ უნდა მოატყუოს ,,ქართულმა ოცნებამ“ მოსახლეობა?!

მთავარი პრობლემა „გაზპრომთან“ მიმართებით არის ის, რომ არ გაგიჩნდათ სურვილი, გეძებნათ ბერკეტები და გზები, ერთად გვენახა „გაზპრომთან“ გაფორმებული დოკუმენტი. მოგიწოდებთ, რეალურად დაინტერესდეთ მოსახლეობის ბედით და ვაიძულოთ ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, მოვიდეს პარლამენტში და გასცეს პასუხი მოსახლეობას, – განაცხადა ირაკლი აბესაძემ.

პარლამენტი „გაზპრომთან“ გაფორმებული შეთანხმების თაობაზე ნაციონალური მოძრაობის მიერ მომზადებული რეზოლუციის პროექტზე მსჯელობს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ადვოკატი: „მამა გიორგი მამალაძე დაუძლურებულია“

დაკავებულმა დეკანოზმა ოჯახისთვის დაცვის მოხსნა მოითხოვა

შორენა მარსაგიშვილი

5 აპრილს ცნობილი გახდა, რომ ციანიდის საქმეზე დაკავებულმა მამა გიორგი მამალაძემ შიმშილობა გამოაცხადა. ის პატრიარქთან და სინოდის წევრებთან შეხვედრას ითხოვს.

საპატრიარქოში სასულიერო პირის მხრიდან ასეთ რადიკალურ გადაწყვეტილებას უარყოფითად შეხვდნენ. დეკანოზმა გიორგი თევდორაშვილმა განაცხადა, რომ სასულიერო პირები არ შიმშილობენ.

გიორგი თევდორაშვილის თქმით, ადვოკატები შეიძლება რაღაცას აზვიადებდნენ და, შესაძლოა, მამა გიორგიმ, უბრალოდ, მარხვა გააძლიერა.

– ვერცერთი ადამიანი ვერ მოიძიებს მსგავს პრეცედენტს, რომ რომელიმე ქრისტიანი განსაცდელში ყოფილიყოს და დაეწყოს შიმშილი. პირიქით, შეიძლება, მარხვა დაიწყოს მკაცრი. იმედი მაქვს, მამა გიორგის შესახებ ეს ინფორმაცია არ არის ზუსტი და მამა გიორგი კი არ შიმშილობს, შეიძლება, მან მარხვა გაამკაცრა, – აცხადებს ჟურნალისტებთან საუბარში თევდორაშვილი.

მისი თქმით, გიორგი მამალაძის გადაწყვეტილების შესახებ სინოდის წევრებიც საქმის კურსში არიან. დეკანოზი გიორგი თევდორაშვილი არ გამორიცხავს, რომ მამა გიორგი, შესაძლოა, ახლო მომავალში რომელიმე სასულიერო პირმა მოინახულოს.

– მე ვიცი, რომ იციან წმინდა სინოდის წევრებმა მამა გიორგის მოთხოვნა და, იმედი მაქვს, უახლოეს ხანში მას მოინახულებენ. არ ვიცი მეუფე დიმიტრის აზრი, მაგრამ, სასურველი იქნება, რა თქმა უნდა, რომ მისმა მღვდელმთავარმა მოინახულოს მის მიერ ხელდასხმული სასულიერო პირი საპყრობილეში. და თუ მეუფე დიმიტრი არა, ალბათ, რომელიმე სასულიერო პირი აუცილებლად მოინახულებს, – აღნიშნა დეკანოზმა გიორგი თევდორაშვილმა.

მის ვერსიას იმასთან დაკავშირებით, რომ მამა გიორგიმ მარხვა გაამკაცრა და შიმშილობა არ დაუწყია, ადვოკატები და სასჯელაღსრულების სამინისტრო არ ადასტურებენ.

გახდება თუ არა საჯარო ციანიდის საქმე

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში შიმშილობის ფაქტს ადასტურებენ. უწყების განმარტებით, მამა გიორგი მამალაძე პენიტენციარულ დაწესებულებაში მედპერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. მოშიმშილე დეკანოზის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ადვოკატი გიორგი ფანცულაია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი მძიმე მარხვაზე კი არ არის, არამედ შიმშილობს.

ჟურნალისტებთან საუბარში ფანცულაია აღნიშნავს, რომ მისთვის, როგორც იურისტისთვის, ეს შიმშილობაა, თუმცა, შესაძლოა, სასულიერო პირები ამას მძიმე მარხვას უწოდებენ.

– მე, როგორც ადვოკატი, სამართალმცოდნე, ამას შიმშილობად ვაფასებ. თუ სასულიერო პირები თავიანთი გადასახედიდან აფასებენ ამას, როგორც მკაცრ მარხვას, რა თქმა უნდა, მათ ამის ლეგიტიმური უფლება აქვთ, მაგრამ მე, როგორც იურისტი, ვამბობ, რომ ეს არის შიმშილობა. ჩემთან მამა გიორგი მამალაძე ამბობს, რომ ის შიმშილობს. ეს მას დაფიქსირებული აქვს წერილობით. მე წერილობით ჩამბარდა, რომ ის შიმშილობს, – აღნიშნა ადვოკატმა.

გიორგი ფანცულაიამ გუშინ, 6 აპრილს, თავისი დაცვის ქვეშ მყოფი მოინახულა. მისი თქმით, დეკანოზი შიმშილობის შედეგად დაუძლურებულია.

– ის ძალიან დაუძლურებულია, უკვე მესამე დღეა, შიმშილობს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, არაერთხელ აღვნიშნე, აქამდეც არ იყო სახარბიელო და, დღეის მდგომარეობით, კიდევ უფრო რთულია. საუბრის კუთხით ჯერჯერობით ადეკვატურია და საუბარი შეუძლია. ვერ ვიტყვი, რომ ექიმები არ ნახულობენ. არის პერიოდული კონსულტაცია, – განაცხადა გიორგი ფანცულაიამ.

ადვოკატი სასულიერო პირებს საგანგებოდ მიმართავს და დეკანოზის მონახულებისკენ მოუწოდებს.

– ძალიან მინიმალური მოთხოვნაა – სულიერი ძმა ამბობს, მნახეთ და ჩემი მოისმინეთო. თქვენი სულიერი ძმა, რომელთან ერთადაც ერთი ბარძიმიდან ეზიარებით, ამბობს, მნახეთ და მოისმინეთ ჩემიო.... მამა გიორგი მამალაძის ადვოკატი ვამბობ, რომ ის შიმშილობს. ეს დაფიქსირებულია სასჯელაღსრულების მე-9 პენიტენციარული დაწესებულების შესაბამის წერილში, რომელიც ამ დილით ჩამბარდა, – განაცხადა გიორგი ფანცულაიამ.

* * *

გუშინ, 6 აპრილს, ადვოკატებმა მამა გიორგის კიდევ ერთი მოთხოვნა გაასაჯაროეს. კერძოდ, მათ მამა გიორგის ოჯახისთვის დაცვის მოხსნა ოფიციალურად მოითხოვეს.

ადვოკატ მიხეილ რამიშვილის განმარტებით, ეს მოთხოვნა პროკურატურას 5 აპრილს გაეგზავნა. არადა, დაკავების მომენტიდან მამა გიორგი მამალაძე თავისი ოჯახისთვის დაცვის დანიშვნას ითხოვდა.

მიხეილ რამიშვილის განცხადებით, დაცვის მოხსნას გარკვეული მიზანი აქვს და ამ ხმაურიანი საქმის საჯაროდ განხილვა მხოლოდ ამ შემთხვევაში მოხდება.

– პროკურატურის მხრიდან წინასასამართლო სხდომის დახურვის შუამდგომლობისას ერთ-ერთ მოტივაციას წარმოადგენდა ის, რომ ბრალდებულის ოჯახის წევრების მიმართ ხორციელდებოდა დაცვის ღონისძიება, რომელსაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს. ვინაიდან დეკანოზს სურს, სასამართლო პროცესები იყოს ღია და საჯარო, ბრალდებული მოითხოვს თავისი ოჯახისთვის დაცვის ღონისძიების მოხსნას, – აღნიშნა რამიშვილმა.

მისი თქმით, დაცვის მოხსნის პროცედურას რამდენიმე დღე დასჭირდება. რაც შეეხება წინასასამართლო სხდომას, ის 5 მაისს გაიმართება.

საქმის განხილვა 5 აპრილს იგეგმებოდა, მაგრამ პროკურატურამ დამატებით ერთთვიანი ვადა მოითხოვა.

სოსო ცისკარიშვილი: „არ მესმის, ახლა რატომ უნდა გადადგეს კვირიკაშვილი“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **სოსო ცისკარიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, აირაის მიერ გამოქვეყნებული სოციოლოგიური კვლევები რა სურათს იძლევა თუნდაც ადგილობრივი არჩევნების წინ, როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს?

– ის ფაქტი, რომ პოლიტიკოსთა რეიტინგში პრეზიდენტ მარგველაშვილს ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს, არის ჩვენი საზოგადოების ტრადიციული მიდგომა უსამართლოდ ჩაგრულის მიმართ. ხალხი ყოველთვის ჩაგრულის მხარეს არის. „ქართული ოცნება“, მართალია, ვერასდროს დაიჯერებს, რომ პრეზიდენტის რეიტინგი სწორედ მათმა თავგზააბნეულმა თავდასხმებმა გაზარდა, მაგრამ ნამდვილად ასეა. მე სულაც არ გამოვრიცხავ, რომ უმრავლესობის შიდა სამზარეულოში ამ თემებზე ყოფილიყო საუბრები.

– გამოდის, „ქართული ოცნება“ პრეზიდენტისადმი პოლიტიკას შეცვლის?

– არაფერია გამორიცხული, მეტიც, მგონია, რომ პარლამენტში ყოველწლიური გამოსვლის შემდეგ პოლიტიკურ დებატებზე თანხმობა ამის ერთ-ერთი ნიშანიც არის.

– სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ ადგილობრივი არჩევნები „ქართული ოცნების“ დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდება. რამდენად აქვს ხელისუფლებას ოპტიმიზმის საფუძველი?

– რა კარგი იყო, როდესაც სოზარ სუბარი ომბუდსმენის თანამდებობაზე გახლდათ და ადამიანის უფლებებისთვის იბრძოდა. მაშინ, არა მგონია, მას ასეთი მკვეთრი განცხადება გაეკეთებინა, შეიძლება ითქვას, სრულიად შეუფერებელი განცხადება დემოკრატიული სამყაროსა და დემოკრატიული არჩევნებისთვის.

ყოფილ პრემიერ ღარიბაშვილის განცხადებები მახსენდება, როდესაც ის არჩევნების წინ აცხადებდა, ჩვენ არ დავუშვებთ, რომელიმე რაიონში ოპოზიციამ მოიგოს არჩევნებიო. ეს განცხადება და სიტყვა „დემოკრატია“ ვერასდროს შეხვდებიან ერთმანეთს საერთო სივრცეში, იმდენად არის აცდენა მათ შორის. დემოკრატიულ საზოგადოებაში არჩევნების წაგებაც და მოგებაც არჩევნების დღეს წყდება და ორივე შედეგი სრულიად მოსალოდნელია.

– გავრცელდა ხმები, რომ პრემიერი, შესაძლოა, გადადგეს. იზიარებთ ამ მოსაზრებას?

– სრულიად უადგილო მგონია ახლა, ამ ეტაპზე პრემიერ კვირიკაშვილის ირგვლივ გავრცელებული ხმები. არ არის გამორიცხული, ამ ხმებით თუნდაც ამ სოციოლოგიური კვლევების გადაფარვა ხდებოდეს. ჩემთვის სრულიად გაუგებარი იქნებოდა ახლა, ამ ეტაპისთვის პრემიერის გადადგომა. მსგავსი ნაბიჯები იდგმება განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე პოლიტიკური მოვლენის, თუნდაც არჩევნების წინ, მაგრამ ახლა რატომ უნდა გადადგეს კვირიკაშვილი, არ მესმის.

– ღარიბაშვილი ახსენეთ. შეიძლება, ის დიდ პოლიტიკაში დაბრუნდეს?

– რა თქმა უნდა, ღარიბაშვილი მომავალ წელს აუცილებლად გახდება პოლიტიკურად აქტუალური.

– საპრეზიდენტო არჩევნებზე იყრის კენჭს?

– დიახ. ბიძინა ივანიშვილს ირაკლი ღარიბაშვილი სათადარიგოთა სკამზე, სხვათა შორის, არცთუ ისე გრძელ სკამზე ჰყავს. მას შემდეგ, რაც სრულიად მოულოდნელად წავიდა ღარიბაშვილი თანამდებობიდან, იგრძნობა, ივანიშვილი თითქოს ებოდიშება მას. ამიტომ, არ არის გამორიცხული, „ქართული ოცნების“ კანდიდატი მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე სწორედ ღარიბაშვილი იყოს.

გიგა ბოკერია: „რუსეთი მტრული სახელმწიფოა“

– „გაზპრომი“ მტრული სახელმწიფოს პოლიტიკური ინსტრუმენტია.

ამის შესახებ ევროპული საქართველოს წევრმა გიგა ბოკერიამ პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, „გაზპრომთან“ ბოლო დროს გაფორმებული ხელშეკრულებით ქვეყნის ინტერესები დაზარალდა და ამაში დამნაშავე საქართველოს ხელისუფლებაა.

– რუსეთი არის მტრული სახელმწიფო. ამ დარბაზში ამაზე არავინ დავობს. „გაზპრომი“ არის მტრული სახელმწიფოს პოლიტიკური ინსტრუმენტი. ამაზეც არ არის დავა. ის ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს აქამდე ჰქონდა „გაზპრომთან“ დადებული, ქვეყნისთვის მომგებიანი იყო.

თქვენც აღიარებთ, რომ წლებია რუსეთი ითხოვდა „გაზპრომთან“ გაფორმებული ხელშეკრულების შეცვლას თავისი ინტერესების სასარგებლოდ. უდავო ფაქტია, რომ წლებია საქართველო ახერხებდა ამ ხელშეკრულების შენარჩუნებას. თუმცა, თქვენ რუსეთის მოთხოვნით ჩვენთვის მომგებიანი ხელშეკრულება შეცვალეთ. ამის მერე სურვილიც არ გიჩნდებათ, რომ პარლამენტში ენერგეტიკის მინისტრს დაუძახოთ და მოუსმინოთ. იქნებ ვცდებით და თქვენ მართლები ხართ?! საიდან იცით, რომ ღირდა რუსეთთან დათმობაზე წასვლა?

აქედან ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება – ან ვერ შეძელით, ან არ შეძელით ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვა, ან იყო სხვა კორუფციული ინტერესებიც. გასაგებია, როცა პოლიტიკური დავალება გაქვთ, უნდა დაიცვათ ეს პოზიცია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ზღვარი არ უნდა ჰქონდეს პოლიტიკურ სისულელეს. ყველაზე სამწუხარო არის ის, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესები დაზარალდა. დროზე მოეგეთ გონს და პასუხი მოსთხოვეთ თქვენს მთავრობას, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

პარლამენტში „გაზპრომთან“ გაფორმებული შეთანხმების თაობაზე „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მომზადებული რეზოლუციის პროექტს განიხილავენ.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

„ოცნება“ ნაძარცვი ბიუჯეტის შევსებას მწევლების ხარჯზე აპირებს“

ბეჟან ნათელაშვილი: „ივანიშვილი მოწველას არის მიჩვეული“

შორენა მარსაგიშვილი

რა მიზანი აქვს მოწევის წინააღმდეგ ბრძოლას, რა პრობლემებს შექმნის ეს ქვეყანაში, რატომ დუმს ხელისუფლება რეალურ პრობლემებზე? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის გენერალური საბჭოს წევრი **ბეჟან ნათელაშვილი** ესაუბრება.

– თქვენი აზრით, ქვეყანაში, სადაც უამრავი პრობლემაა, რატომ გახდა ასეთი აქტუალური მოწევის წინააღმდეგ ბრძოლა? მოწევა, მართალია, მავნებელია, მაგრამ არანაკლებ მავნებელი რამეები ხდება ჩვენ გარშემო.

– ქვეყანაში რომ უამრავი გადაუჭრელი პრობლემაა, სწორედ ამიტომ დაიწყეს ასეთ თემებზე ყურადღების გამახვილება. კანონქვემდებარე აქტებითა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში იდიოტობების ჩაწერით ცდილობენ მთავარი პრობლემებიდან ხალხის ყურადღების გადატანას.

მოწევის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას მეორე მიზანიც აქვს: ხელისუფლება ამ გზით შეეცდება იმ გაძვალტყავებული ბიუჯეტის შევსებას, რომელსაც 2012 წლიდან მოყოლებული, დღემდე ძარცვავენ.

ივანიშვილი მოწველას არის მიჩვეული და ახლა გადაწყვიტა, ფული ხალხის მოწევის ხარჯზე იშოვოს.

– ხელისუფლება ვარაუდობს, რომ სანქციები ხალხს აიძულებს, სიგარეტის მოწევას თავი დაანებოს.

– სიგარეტისთვის თავის დანებება ასე მარტივი რომ იყოს, ხალხი სანქციების გარეშეც დაანებებდა. ყველამ იცის, რომ მოწევა მავნებელია, მაგრამ უჭირთ თავის დანებება.

ამათ გადაწყვიტეს, ამის ხარჯზე ბიუჯეტი შეავსონ და მერე ეს ფული ისევ თავად მოიპარონ. ამ გადაწყვეტილების უკან ბიძინა ივანიშვილი დგას, მაგრამ ეს იდეა მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის. მას ამის გაკეთება აღარ დასცალდა. მისი დაწყებული საქმე „ქართულმა ოცნებამ“ გააგრძელა და ამით კიდევ ერთხელ დაემსგავსნენ წინა ხელისუფლებას.

– მოწევის აკრძალვაზე ლეიბორისტული პარტიის პოზიცია როგორია?

– ამ საკითხზე პარტიაში არც ოფიციალურად და არც არაოფიციალურად არ გვიმსჯელია.

– ბევრი მწეველია თქვენს პარტიაში?

– თითქმის ყველა ვეწევით. ერთადერთი, ვინც არ ეწევა, შალვა ნათელაშვილია. ადრე ისიც ეწეოდა, მაგრამ თავი დაანება.

– რა მიზეზით დაანება სიგარეტის მოწევას თავი?

– ამათი შიშით ნამდვილად არ დაუნებებია. 2009 წელს მას გულთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები შეექმნა და მოწევას ექიმების მოთხოვნით დაანება თავი.

– რადგან პარტიაში ბევრი ეწევით, ბევრი ფული შევა თქვენგანაც ბიუჯეტში ჯარიმების სახით.

– ბიძინა ივანიშვილი გახლავთ საოცრად მომხვეჭელი კაცი. ის საზოგადოების ყველა ფენიდან შეეცდება სარგებლობის მიღებას. სტატისტიკა მეტყველებს, რომ საქართველოში ბევრია მწეველი და ეს პრობლემა ასე მარტივად არ გადაიჭრება.

ხალხის ძარცვას სხვა უკუშედეგებიც მოჰყვება. სერიოზული პრობლემები შეექმნებათ რესტორნებს. ისინი ძალიან ბევრ კლიენტს დაკარგავენ.

– რესტორნები რატომ დაკარგავენ კლიენტებს?

– მოწევა იქაც იკრძალება. რესტორნებში ხალხი საქეიფოდ შედის. ნასვამი ადამიანი, როგორც წესი, უფრო მეტს ეწევა. ყოველ 15 წუთში ადგომა და მოსაწევად გარეთ გასვლა ქართული სუფრის ტრადიციებში არ ზის. ამის გამო რესტორნები კლიენტებს დაკარგავენ.

ეს აკრძალვები ერთგვარი ფსიქოლოგიური ტერორიც იქნება და საზოგადოება ძალიან მძიმე დღეში ჩავარდება.

– საზოგადოება ამ გადაწყვეტილებას ჯერ-ჯერობით გაგებით ეკიდება.

– ეგ იმიტომ, რომ სანქციები ძალაში არ შესულა. როცა ამას საკუთარ ტყავზე იგრძნობენ, ალბათ, გამოფიზლდებიან და პროტესტს გამოხატავენ. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ბოლომდე გაგებით მოეკიდონ ამ ყველაფერს.

ხალხის ინერტულობა ძალიან სახიფათო ზღვარს მიუახლოვდა. ჩვენმა მოსახლეობამ მოქმედი და წინა ხელისუფლების ბევრი ტყუილი გადაყლაპა. უამრავი რამე მოითმინეს, დოლარის კურსის ხელოვნური გაძვირება, ფასების მატება და ათასი უბედურება კიდევ. მოკლედ რომ გითხრათ, ეს ხელისუფლება საქართველოში თითქმის ყველა ოჯახს მეხივით დაეცა.

ამათი მომხვეჭელობის გამო ძალიან ბევრ ადამიანს, განსაკუთრებით კი მძღოლებს სერიოზული პრობლემები შეექმნებათ. ისინი მთელი დღის განმავლობაში საჭესთან სხედან და სადმე ხომ უნდა მოსწიონ სიგარეტი. მე არ ვამბობ, რომ მოწევა კარგია, მაგრამ ამ პრობლემას ნელი ტემპებით უნდა ებრძოლო და არა – ასეთი მეთოდებით.

ამათ არც მწევლებისა და არაც არამწევლების ჯანმრთელობა არ ადარდებთ. როგორც გითხარით, მათი მიზანი გაძარცვული ბიუჯეტის შევსება და სხვა უფრო სერიოზული პრობლემების მიჩქმალვაა.

– თქვენი აზრით, კონკრეტულად რა პრობლემის გადაფარვა ხდება?

– უმუშევრობა, სიღატაკე, მომატებული კრიმინალი. დღე ისე არ გავა, კონფლიქტისპირა რეგიონებიდან ადამიანები არ გაიტაცონ. ეს ხომ თავისთავად საშინელებაა, მაგრამ, უარესი ის არის, რომ ხელისუფლებას ასეთ ფაქტებზე რეაქცია საერთოდ არ აქვს.

ახლა წამოსწიეს სიგარეტის აკრძალვა და ყველა ამ თემაზე ლაპარაკობს. კიდევ ბევრ თემას მოიგონებენ. რამდენიმე წლის წინ ერთი ამბავი ატეხეს, კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს, ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობაა. თითქოს აქამდე სხვა რამე იყო ოჯახი. ჩაწერით არაფერი ჩაუწერიათ, მაგრამ ხალხს ხომ გადაატანინეს ყურადღება.

ნარიყალას მთაზე წამომჯდარი მაფიოზი შუშის სასახლიდან კიდევ ბევრ რამეს მოიფიქრებს, ხალხის ყურადღება რომ გადაიტანოს და მისგან სარგებლობა მიიღოს.

ნაციონალები „ქართუ ბანკს“ თაღლითობაში ადანაშაულებენ, ივანიშვილის ბანკი კი სასამართლოში სარჩელის შეტანით იმუქრება

ოპოზიცია და ტაქსების კომპანიაში დასაქმებული 50-მდე მძღოლი „ქართულ საინვესტიციო ჯგუფ 21-ე“-სა და „ქართუ ბანკს“ თაღლითობაში ადანაშაულებს.

აღნიშნულ საკითხზე გუშინ ნაციონალურ მოძრაობაში სპეციალური ბრიფინგი გაიმართა, სადაც გოგა ონიანმა და ნუგზარ წიკლაურმა განაცხადეს, რომ ხელშეკრულებების არსებობის მიუხედავად ავტომობილები, რომლებითაც ისინი წლების განმავლობაში მუშაობენ და ყოველდღიურ გადასახადს იხდიან, „ქართუ ბანკმა“ დააყადაღა და ახლა მძღოლებს ტრანსპორტის ჩამორთმევით ემუქრებიან.

ოპოზიციის ინფორმაციით, „ქართულმა საინვესტიციო ჯგუფმა 21-ე“-მ 10 წლის წინ 50-მდე მძღოლს მანქანები ხელშეკრულებით გადასცა, რომლის მიხედვითაც, 48 ათასი ლარის დაფარვის შემდეგ ავტომობილები მძღოლებს დარჩებოდათ.

ონიანის განცხადებით, 2011 წელს კომპანიამ „ქართუ ბანკიდან“ 6-მილიონიანი სესხი აიღო, რისი უზრუნველყოფაც აღნიშნული მანქანებით მოხდა. მძღოლებმა თანხის უდიდესი ნაწილი დაფარეს, თუმცა კომპანიამ ბანკს სესხი ვერ გადაუხადა და ამიტომაც, „ქართუ ბანკი“ მძღოლებს მანქანებს ართმევს.

– 2007 წელს კომპანიასა და მძღოლებს შორის დაიდო ხელშეკრულება იმის თაობაზე, რომ 48 ათასი ლარის გადახდის შემდეგ ეს მანქანები მძღოლებს უნდა გადასცემოდათ საკუთრებაში. 50-მდე მძღოლიდან ზოგმა 40 ათასი ლარი გადაიხადა, ზოგმა – 45 ათასი, ზოგმაც სრულად დაფარა, მაგრამ 2011 წელს კომპანიამ ისე, რომ არ ჰკითხა მძღოლებს არაფერი, სხვა ქონებასთან ერთად მანქანები ჩადო „ქართუ ბანკში“ და გამოიტანა 6 მილიონი ლარი.

კომპანიამ თანხა ვერ გადაიხადა, ბანკმა იჩივლა, 2015 წელს გამოვიდა გადაწყვეტილება და დაყადაღდა ქონება, მათ შორის ეს მანქანებიც. ეს არის თაღლითური სქემა, რომელიც აწყობდა როგორც კომპანიას, ასევე ბიძინა ივანიშვილის ბანკს. მძღოლებს უთხრეს, რომ მალე მათ გააჩერებს პატრული და მანქანებს გადასცემენ სააღსრულებო ბიუროს, – განაცხადა გოგა ონიანმა.

ნუგზარ წიკლაურმა „ქართუ ბანკი“ და ტაქსების კომპანია თაღლითურ გარიგებაში დაადანაშაულა.

– თაღლითური გარიგება იყო ბანკსა და კომპანიის მენეჯმენტს შორის, ტრაგიკულია, როცა მილიარდერის ბანკი ართმევს გაჭირვებულ ხალხს მანქანებს, რომლის საფასურიც მათ გადაიხადეს. მძღოლებს გვერდში ვუდგავართ ამ ბრძოლაში, – განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა.

* * *

ბრალდებას უპასუხეს „ქართუში“.

როგორც ბანკის განცხადებაშია ნათქვამი, ნაციონალური მოძრაობა და მისი წარმომადგენლები არ იშლიან ტრადიციას და გაჭირვებული ადამიანების შეცდომაში შეყვანით ისევ ცდილობენ პოლიტიკური ქულების დაწერას.

– მაგრამ ამჯერად ამ უპასუხისმგებლობისთვის და რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის გავრცელებისთვის მოუწევთ სასამართლოს წინაშე წარდგენა, – აღნიშნულია განცხადებაში.

„ქართუში“ აცხადებენ, რომ შპს „ქართულ საინვესტიციო ჯგუფ XXI“-ს აქვს საკრედიტო დავალიანება, თუმცა არა 6 მილიონი, არამედ გაცილებით ნაკლები.

სესხის უზრუნველსაყოფად დაგირავებულია უძრავი ქონება და ავტომობილები. 2016 წელს აღნიშნულმა კომპანიამ სასამართლოსთვის მიმართვის გზით დაიწყო გაკოტრების პროცესი, რაც გულისხმობს ყველა კრედიტორის, მათ შორის ბანკის ჩართულობას, დარჩენილი დავალიანების ამოღებას.

ბანკს შესაბამისი სარჩელით მოთხოვნილი აქვს საკრედიტო დავალიანების დაფარვა მხოლოდ მესამე პირის საკუთრებაში არსებული, ბანკის სასარგებლოდ დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციით, რომლის ღირებულებაც აღემატება არსებულ დავალიანებას.

– კომპანიის საკუთრებაში არსებულ, გირავნობით უზრუნველყოფილ საგნებთან (ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან) დაკავშირებით ბანკს მოთხოვნები არ დაუყენებია (გაკოტრების პროცესში ვერც დააყენებდა) სასამართლოში, შესაბამისად, სააღსრულებო პროცედურები კომპანიის მიმართ ბანკის მოთხოვნის საფუძველზე არ მიმდინარეობს და ბანკის მოთხოვნის საფუძველზე ყადაღა არ ადევს გირავნობით უზრუნველყოფილ საგნებს, – აღნიშნულია განცხადებაში.

ნიუპოსტი

რატომ ერჩის გუგული მაღრაძე ილიკოს, ილარიონსა და ჩცდ-ს

საჯარო ადგილებში სიგარეტის მოწევა იკრძალება: პარლამენტმა კანონი პირველი მოსმენით მიიღო.

კანონპროექტის ავტორი უმრავლესობის წევრი გუგული მაღრაძეა. მასვე ეკუთვნის იდეა: „ფილმები, რომლებიც სიგარეტის მოწევას ასახავს, გარკვეულ საათებში აიკრძალოს ან დაიბლაროს“.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენელი „ნიუპოსტთან“ ამბობს: „ქართულ სერიალებში დადებითი გმირები ისე ლამაზად ეწევიან, რომ ამან მოზარდებზე ცუდი ზეგავლენა მოახდინა“.

პარლამენტარს ამ მიმართულებით პრეტენზია აქვს „ჩემი ცოლის დაქალების“ მიმართ. დეპუტატს არც ის ესმის, რატომ გამოიწვია მისმა ინიციატივამ საზოგადოებაში პროტესტი.

– ჩვენ გავაკეთეთ სოციოლოგიური კვლევა, მოსახლეობის 90% საჯარო ადგილებში სიგარეტის მოწევის აკრძალვას უჭერს მხარს, მათ შორის მწეველები, – აღნიშნა გუგული მაღრაძემ.

კითხვაზე, შეიცავს თუ არა მის მიერ შემუშავებული კანონპროექტი მწევლების უფლების შეზღუდვას, მაღრაძე ამბობს:

– ადამიანის უფლება მთავრდება იქ, სადაც ის ზიანს აყენებს მეორე ადამიანის უფლებას. როდესაც დაწესებულებაში არამწევლებსაც უნდათ შესვლა, ისინიც მუშაობენ იქ და მათ ჯანმრთელობას არ უნდა შეექმნას საფრთხე, თუ ვინმე ეწევა. კანონი მიმართულია არამწევლებისა და ასევე მწევლების ჯანმრთელობის დასაცავად.

როდესაც ამ ადამიანს ექნება გარკვეული შეფერხება და ვერ მოსწევს დახურულ დაწესებულებაში, იძულებული იქნება, გარეთ გავიდეს. ის თანდათანობით შეამცირებს მოწევას და ვიმედოვნებთ, რომ საბოლოოდ მოწევას დაანებებს თავს. ჩვენ ჩვენი მოქალაქეები ძალიან გვენანება. წელიწადში მილიარდ-ნახევარი ლარი გადის მარტო თამბაქოს საყიდლად.

რაც შეეხება მეორე ინიციატივას, რომლის თანახმადაც, ფილმებში თამბაქოს მოწევის ამსახველი კადრები უნდა დაიფაროს, „ნიუპოსტი“ დეპუტატთან შეეცადა გაერკვია, ხომ არ იქნება ეს შინაარსსა და შემოქმედებით საქმიანობაში უხეში ჩარევა.

– როდესაც ფილმში აჩვენებენ, რომ ლამაზი მამაკაცები, ქალები სიმპათიურად სხედან და ეწევიან სიგარეტს, ეს ახდენს დადებითი მიმბაძველობის გავლენას არასრულწლოვნებზე.

ახალგაზრდებს თამბაქოს მოწევა კარგ ტონად მიაჩნიათ და ბევრი 13 წლის ასაკში იწყებს მოწევას. ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ფილმებში არ უნდა ჩანდნენ ფილმის გმირები, რომლებიც ეწევიან სიგარეტს.

არის სპეციალური მეთოდები, რომ კადრში სიგარეტი არ გამოჩნდეს, ან შეიძლება იყოს მეთოდი, რომ ასეთი ფილმები გაუშვან ღამის საათებში, როცა 18 წლამდე აკრძალული ფილმები გადის.

ეს არანაირად არ არის შემოქმედებით საქმიანობაში უხეში ჩარევა. ის, რომ, მაგალითად, „ჩემი ცოლის დაქალებში“ ყველა ქალი ეწევა, არანაირი შემოქმედებითი იდეის გამოხატვას არ ემსახურება. ვინც ამ სერიალშია (ჩცდ), აბსოლუტურად ყველა ქალი ეწევა. როცა ასეთი ლამაზი ქალები ასე ლამაზად ეწევიან, ახალგაზრდას მიმბაძველობის სურვილი უჩნდება. ეს არის ერთ-ერთი ფაქტორი და არა ერთადერთი, მაგრამ ჩვენ ყველა ფაქტორი უნდა გამოვრიცხოთ, რომ არ იყოს გავლენა, ისინი ჩაერთონ თამბაქოს მოწევაში. სიგარეტისგან საქართველოში ყოველ წელს 11.000 ადამიანი კვდება, – აღნიშნა გუგული მაღრაძემ.

„ნიუპოსტის“ კითხვაზე, რომ თამბაქოს გამოყენება არა მხოლოდ თანამედროვე სერიალებში, არამედ ძველ ქართულ ფილმებშიც აქტიურად ხდება (მაგ: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“), დეპუტატმა შეზღუდვის აუცილებლობაზე ძველ ფილმებთან მიმართებითაც ისაუბრა.

– თუ ფილმში თამბაქოზეა საუბარი, ეს სხვაა და, თუკი მოწევის ფაქტი ჩანს, მაშინ ისიც უნდა დაიბლაროს. არის მეორე ვარიანტი, რომელიც მოსახლეობის გაფრთხილებას გულისხმობს, – დასძინა მაღრაძემ.

პეტრე მამრაძე: „რუსეთს შეუძლია, პატარა ქვეყანაში შემოვიდეს, გაანადგუროს და ბაზები დააყენოს“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი **პეტრე მამრაძე** „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ რუსეთის რეაქცია საქართველოს ევროპასთან ვიზალიბერალიზაციის საპასუხოდ არაადეკვატური იყო.

– ბატონო პეტრე, რუსეთის რეაქცია საქართველოს ევროპასთან ვიზალიბერალიზაციის საპასუხოდ ადეკვატური იყო? მოგეხსენებათ, საქართველოს ევროპასთან ვიზალიბერალიზაციის პროცესს დაემთხვა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთის სამხედრო ნაწილების გაძლიერება, ახალი სამხედრო შეიარაღების შემოტანა, აფხაზური და ოსური შენაერთების რუსულ შენაერთებთან გაერთიანება.

– რუსეთის რეაქცია სრულიად არაადეკვატური იყო. რუსეთის ხელისუფლებას ჰქონდა ისეთი რეაქციები, რომელიც აკნინებს რუსეთს, როგორც დიდ სახელმწიფოს, „დერჟავას“, როგორც თვითონ რუსები უწოდებენ. როგორ შეიძლება, დიდ სახელმწიფოს ასეთი არასრულფასოვნების კომპლექსი ჰქონდეს.

– რუსეთის არაადეკვატური რეაქციები არასრულფასოვნების კომპლექსიდან გამომდინარეობს?

– ნამდვილად, ვინაიდან რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგო არანაირად არ არის საქართველოს ურთიერთობა ევროკავშირთან, რომ არაფერი ვთქვათ ამ ურთიერთობის მოცულობაზე, რომელიც რუსეთისთვის არის სტატისტიკური ნული რუსეთის ბაზრის მასშტაბის გათვალისწინებით.

– რატომ ფიქრობთ ასე, ევროკავშირი რუსეთის ინტერესებს ითვალისწინებს?

– ერთი მაგალითი – მაიდანის შემდეგ, უკრაინაში მოსული ახალი ხელისუფლების პირობებში, ევროგაერთიანებამ, ვიდრე პოროშენკოს ხელისუფლებასთან ასოცირების ხელშეკრულებაზე მოაწერდა ხელს, რუსეთის მთავრობას გაუგზავნა ხელშეკრულების სრული პაკეტი და სთხოვა, თუ რაიმე შენიშვნა გაქვთ, თუ ამ ხელშეკრულების რომელიმე მუხლი რაღაცნაირად ეწინააღმდეგება თქვენს ეროვნულ ინტერესებს, გვითხარით, გავასწორებთ, ვიმსჯელებთო.

წესდებით, საერთოდ არ ევალებოდა ევროგაერთიანებას, შეეთანხმებინა რუსეთისთვის, რაზე მოაწერდა ხელს უკრაინასთან, მაგრამ, უკრაინა-რუსეთის კონფლიქტის გათვალისწინებით, ეს გააკეთა. რუსეთის მთავრობამ დღემდე ვერაფერი უპასუხა. თუ რაღაც არ გაწყობს, ის მაინც ხომ უნდა შეგეძლოს, თქვა, ამა და ამ თავში ესა და ეს საზიანოა ჩემთვისო, თან უნდა თქვა, რატომ არის საზიანო.

– მენიშნა საქართველოში ჩამოსული რუსი ჟურნალისტის პოზნერის განცხადება „იმედის“ ჟურნალისტთან, თუ ამერიკას სხვადასხვა ქვეყანაში სამხედრო ბაზები აქვს, რატომ ჩვენ არ უნდა გვქონდეს საქართველოშიო. მის განცხადებაში რუსული ხასიათი კარგად ჩანს.

– პოზნერი ვისაც ემსახურება, ცნობილია. მან რუსული ტელევიზიით განაცხადა, მე ხელშეკრულება დავდე სატანასთან, ამიტომ ხელშეუხებელი ადამიანი ვარო. პოზნერი ცინიკოსია. როგორ შეიძლება რუსეთის შედარება შეერთებულ შტატებთან, რომელიც მსოფლიოში თავისუფლებისა და დემოკრატიის მართლა ფლაგმანია. არაერთი ქვეყანა არსებობს დედამიწის ზურგზე იმის გამო, რომ აშშ არსებობს, თორემ მსოფლიო რუკიდან წაიშლებოდნენ. ასეთია, მაგალითად, დამოუკიდებელი ტაივანი, სამხრეთ კორეა. რომ არა ამერიკა და მისი ფაქტორი, სამხრეთ კორეა რამდენიმე კვირაში გაქრებოდა. ტაივანის ბედიც უცებ გადაწყდებოდა.

– საქართველო?

– ამის მაგალითია საქართველოც. მე არ ვაკლებ კრიტიკას ჩვენს მთავრობას, მაგრამ მთელ რეგიონში სტაბილურობის, დემოკრატიის, თავისუფლების (მათ შორის, სიტყვის თავისუფლების) კუნძული რომ ვართ, ესეც ხომ ფაქტია. აქაც აშშ-ის მოსახლეობისა და, შესაბამისად, მათი მთავრობის წვლილი ძალიან დიდია. თუ შეერთებული შტატების ბაზა სადმე დგას, ეს არის არა ოკუპაციის, არამედ ორმხრივი მოლაპარაკების შედეგი, როცა, როგორც წესი, მას სთხოვენ, რომ დარჩეს და ადგილობრივი მოსახლეობაც კმაყოფილია.

– რუსეთის ხელისუფლებას აშშ-ის მსგავსად მოქმედება არ შეუძლია?

– არა. რუსეთის ხელისუფლებას შეუძლია, პატარა ქვეყანაში შემოვიდეს, დაბომბოს, გაანადგუროს და დააყენოს ბაზები. შემდეგ პოზნერისნაირი დაქირავებული ჟურნალისტები იტყვიან, ჩვენც ხომ შეგვიძლიაო.

– რუსეთს კომპლექსი აქვს თუ მისი ხელისუფლება დიადი რუსეთის იმპერიალისტურ ზრახვებსა და სურვილებზე უარის თქმას ვერ ახერხებს?

– ამის ელემენტიც არის, მაგრამ სად არის საღი აზრი? არაერთ რუსს, ცნობილ მეცნიერსა და პოლიტოლოგს, ანალიტიკოსს დაუწერია, რომ პუტინი რუსეთის ეროვნულ, ანუ სახელმწიფო ინტერესებს ღალატობს.

– იქნებ ამას რუსული ინტელიგენციის წარმომადგენლები ხელისუფლების იმპერიალისტური ქმედებების გასაწონასწორებლად და თვალის ასახვევად წერენ?

– არა. ისინი ამას წერენ იმიტომ, რომ ვეებერთელა ტერიტორია რუსეთში, ურალის ქედის იქით, სრულიად აუთვისებელია. მოსახლეობა იმდენად ცოტაა, საჰარის უდაბნოზე ნაკლებადაა დასახლებული. შედიან ჩინელები და სახლდებიან. ისეთ ხელშეკრულებებს მოაწერა ხელი, რომ ჩინელებს გზა ხსნილი აქვთ. ასევე დაუცველია იქითა საზღვრები.

– სამაგიეროდ, საქართველოსა და უკრაინას არ ეშვება, ახლო აღმოსავლეთშიც იბრძვის.

– ეს არის სწორედ ის, რასაც წერენ. პიატიგორსკი წერდა, პუტინი რუსეთის ინტერესებს გარდაცვლილი საბჭოთა კავშირის მკვდარ სხეულთან ღალატობსო.

– პუტინი განსაკუთრებით ვერ იტანს ნატოს.

– ძალიან კარგად იციან, რომ ნატო რუსეთისთვის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს, მაგრამ საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებისთვის პუტინსა და მის ჩეკისტურ ხროვას მტრის ხატი სჭირდება.

– პოზნერმა ნატოს საშინელი აგრესიული ბლოკი უწოდა.

– როდესაც ყირიმის ანექსია მოხდა, პოლონეთი და ბალტიის ქვეყნები ეხვეწებოდნენ ნატოს ხელმძღვანელობას, სასწრაფოდ განათავსეთ ჩვენთან ალიანსის შენაერთიო, რადგან რუსეთი იმუქრებოდა, რომ ძალიან მცირე დროში დაიკავებდა ბალტიისპირეთისა და უკრაინის დედაქალაქებს.

– დიახ, პუტინმა განაცხადა, თუ მოვინდომებ, კიევს 2 საათში ავიღებო.

– პუტინი მუქარას არ დასჯერდა და ბალტიის ქვეყნების საზღვრებზე რუსეთის მხრიდან განათავსა საჯარისო ნაწილები – 350 ათასზე მეტი ჯარისკაცი. ამ დროს ბალტიისპირეთში არმიები სიმბოლურია, ნატოს მხრიდან კი საერთოდ არავინ დგას. ამ ფონზე ბალტიისპირელები ნატოს ეხვეწებოდნენ, დააყენეთ ჩვენთან ჯარი, ხომ ხედავთ, კაცი ღიად იმუქრებაო.

– რუსეთის მუქარა რეალურია?

– ესტონეთში ქალაქი ნარვა რუსულენოვანი მოსახლეობით არის დასახლებული. იქ რომ გააკეთოს რუსეთმა ის, რაც მოხდა ყირიმში, კი, ესტონეთი ნატოს წევრია, მაგრამ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ესტონეთის გამო იბრძოლებს? ამ ფონზე ნატოს შტაბბინიდან ესტონეთს უპასუხეს, ჩვენ იმ პირობით მიგიღეთ ნატოში, რომ ჩვენი ჯარი თქვენს ტერიტორიაზე არ დადგებოდა და ამ პირობას ვასრულებთო. პუტინმა ხომ პირობა დაარღვია უკრაინასთან დაკავშირებით.

– დიახ, უკრაინასთან დაკავშირებით შეთანხმება იყო, დიდ სახელმწიფოებს უნდა დაეცვათ მისი ტერიტორიული მთლიანობა.

– რუსეთმა კატეგორიულად მოსთხოვა უკრაინას, ბირთვული იარაღი გადაეცა. სამაგიეროდ, რამდენიმე ქვეყანა გარანტად გამოვიდა, თუ უკრაინა ბირთვულ იარაღს რუსეთს გადასცემდა, დაიცავდნენ მის ტერიტორიულ მთლიანობას. ამერიკა შეეპირდა უკრაინას დახმარებას. ბირთვული იარაღის შენახვას დიდი ფული სჭირდება. ამერიკელი პოლიტოლოგი მაიერი აფრთხილებდა უკრაინასა და აშშ-ს, თუ უკრაინა დაუბრუნებდა რუსეთს ბირთვულ იარაღს, ადრე თუ გვიან რუსეთი შეიჭრებოდა უკრაინის ტერიტორიაზე. პოზნერისგან განსხვავებით, რუსი პოლიტოლოგები წერდნენ, რომ ნატო იყო მიძინებული ორგანიზაცია, რომელიც პუტინმა თავისი აგრესიითა და პირდაპირი საჯარო მუქარით გააღვიძა.

ევროპაში სოროსს დაუპირისპირდნენ

რუსეთი საფრანგეთის არჩევნებში უკვე ერევა

მარიამ მჭედლიშვილი

ბუდაპეშტის სოროსის უნივერსიტეტად წოდებული ცნობილი უმაღლესი სასწავლებლის შესაძლო დახურვის გამო შეშფოთებას გამოთქვამენ სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში. ჩვენთან მოქმედი აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტების დიდ ნაწილს განათლება ამ დაწესებულებაში აქვს მიღებული.

უნგრეთის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც, შესაძლოა, შეჩერდეს სოროსის მიერ ბუდაპეშტში დაფუძნებული ცენტრალური ევროპული უნივერსიტეტის საქმიანობა.

ცნობილ მილიარდერსა და ფინანსისტს ბოლო დროს ბრძოლა გამოუცხადა უნგრეთის პრემიერმა ვიქტორ ორბანმა, რომელიც ადრე სოროსის მხარდაჭერით სარგებლობდა.

უნგრეთი ევროპის ერთადერთი სახელმწიფო არ არის, რომელიც სოროსსა და მის იდეოლოგიას უპირისპირდება. გარკვეული ხნის წინ მაკედონიის პრემიერმა ნიკოლა გრუევსკიმ თანამოქალაქეებს ქვეყნის დესოროსიზაციისკენ მოუწოდა, ხოლო პოლონეთის მმართველი პარტიის ლიდერმა იაროსლავ კაჩინსკიმ განაცხადა, რომ მილიარდერ სოროსის ინსტიტუტებს განზრახული აქვთ, საზოგადოების ეროვნული იდენტურობა გაანადგურონ.

უნგრეთში დიდი ხანია, გაისმის კრიტიკა ევროკავშირის მიმართაც. უნგრეთის ხელისუფლება ატარებს მოსახლეობის გამოკითხვას, რომელმაც უნდა გამოავლინოს უნგრელების დამოკიდებულება ევროკავშირის მიმართ.

დარიგებულ ანკეტაში 6 კითხვაა. შეკითხვები ეხება ევროკავშირის ეკონომიკურ პოლიტიკასა და მიგრაციას ევროპაში.

არ არის გამორიცხული, რომ უნგრეთის ხელისუფლება ამ გამოკითხვის გამო გააკრიტიკონ. 2015 წელს უნგრეთში მიგრაციის საკითხებზე ჩატარებული კვლევა დაგმო გაერომ. გაეროს უმაღლესმა კომისარმა განაცხადა, რომ მისმა შედეგებმა შეიძლება გამოიწვიოს ქსენოფობიური განწყობების გაძლიერება.

ევროპაში ერთ-ერთ მთავარ ქსენოფობად, იდეოლოგიურად სოროსის მოწინააღმდეგედ და ევროკავშირის დაშლის მომხრედ ითვლება საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატი მარინ ლე პენი, რომელსაც, ანალიტიკოსების პროგნოზით, არჩევნებში მოსკოვი დაეხმარება.

პორტუგალიური მედიის ცნობით, რუსეთი უკვე ერევა საფრანგეთში მიმდინარე წინასაარჩევნო პროცესებში. კერძოდ, ავრცელებს დეზინფორმაციას ლე პენის მთავარ კონკურენტ ემანუელ მაკრონზე. საუბარია იმაზე, თითქოს მაკრონის საარჩევნო კამპანიას 30%-ით საუდის არაბეთი აფინანსებს, მას კი კავშირი აქვს ალქაიდასთან.

გამოცემა აღიარებს, რომ ამ საქმეში რუსეთის საწინააღმდეგო მტკიცებულებები არ არსებობს, მაგრამ დავას არ იწვევს, რომ პუტინსა და ლე პენს საერთო მიზნები აქვთ, კრემლი მას აფინანსებს, გარდა ამისა, ეს ყველაფერი რუსეთის მუშაობის მეთოდებს ჰგავს.

ავტორები შენიშნავენ, რომ ევროპას სიმტკიცე აკლია. ის მიცურავს მკვეთრი დასავლური კურსის გარეშე იმ დროს, როცა ევროპის მტრებმა კარგად იციან, საით მიმართონ გემი.

ინდეფენდენტი დიპლომატიურ წყაროებზე დაყრდნობით იუწყება, რომ მალე გაერთიანებული სამეფო უარს იტყვის რუსეთთან კონფრონტაციულ პოლიტიკაზე და დღის წესრიგში დგას დიალოგი ლონდონსა და მოსკოვს შორის. შესაძლებელია თანამშრომლობა ტეროროზმის სფეროში. ამგვარი ცვლილებები საჭირო გახდა აშშ-ში პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევის შემდეგ.

შეიძლება თავისი პოლიტიკა შეცვალოს დასავლეთის გზაზე მდგარმა მოლდოვამ. დი ველტისათვის მიცემულ ინტერვიუში რუსეთის მომხრე მოლდოვის პრეზიდენტმა იგორ დოდონმა განაცხადა, რომ მოლდოვისთვის მომგებიანი იქნება შესვლა ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში. მისი თქმით, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებამ მის ქვეყანას ვერაფერი მისცა, ხოლო იმ 782 მილიონი ევროდან, რომელიც ევროკავშირმა 2007-2015 წლებში მოლდოვას დახმარებისთვის გამოუყო, დაახლოებით ნახევარი მოლდავეთის პროდასავლურმა ხელისუფლებამ მიითვისა.

როგორც ჩანს, ევროპაში უახლოეს ხანში ევროკავშირის შენარჩუნებისა და დაშლის მომხრეები უფრო მეტად დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. დესოროსიზაციის კამპანიებიც ამას უნდა უკავშირდებოდეს.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

10 აპრილიდან მოქალაქეები პირადობის მოწმობის უფასოდ აღებას შეძლებენ

10 აპრილიდან ახალი პირადობის მოწმობის აღება უფასოდ იქნება შესაძლებელი.

აღნიშნული აქციით სარგებლობას ის სრულწლოვანი მოქალაქეები შეძლებენ, რომლებსაც ახალი პირადობის მოწმობა არასოდეს ჰქონიათ.

ინფორმაციას ამის შესახებ იუსტიციის სახლი ავრცელებს. მათივე ცნობით, აქცია 29 აპრილამდე გაგრძელდება.

აქციით სარგებლობისთვის მოქალაქეებმა იუსტიციის სახლებს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს ან საზოგადოებრივ ცენტრებს უნდა მიმართონ.

40 საშიში ატრაქციონი

გაუმართაობა, არასახარბიელო ვიზუალი, ზოგიერთ ატრაქციონზე უსაფრთხოებისთვის საჭირო ქამრის არარსებობა – ეს არის ის ხარვეზები, რაზეც მოქალაქეები „ბიზნესპრესნიუსთან“ ატრაქციონების შესახებ საუბრობენ.

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოში (გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა, რომელსაც საკუთარი ზედამხედველი ორგანო ჰყავს) 40 ატრაქციონია, რომელიც მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტს მიეკუთვნება. აქედან 14 ატრაქციონი თბილისში, დანარჩენი კი სხვადასხვა რეგიონში მდებარეობს.

სააგენტოს ცნობით, ქვეყნის მასშტაბით ატრაქციონები სხვადასხვა დროს არის დამონტაჟებული. აქედან 11 ობიექტი კი ყველაზე ძველია და 1970-იან წლებშია დამონტაჟებული.

რაც შეეხება ექსპლუატაციის ვადას, როგორც სააგენტოში აცხადებენ, თანამედროვე ატრაქციონების საექსპლუატაციო ვადა მინიმუმ 15 წელია; საბჭოთადროინდელ ატრაქციონებს კი ექსპლუატაციის დადგენილი ვადა არ მოჰყვება და მათ ვარგისიანობას პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება განსაზღვრავს.

– მიუხედავად მათი ასაკისა და არასახარბიელო ვიზუალისა, 2016 წლის მდგომარეობით, ყველა ატრაქციონის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ობიექტები 2008 წლიდან მოყოლებული 2014 წლამდე ყოველწლიურად მოწმდებოდა. 2014 წლიდან კი ინსპექტირების პერიოდულობა შეიცვალა და ატრაქციონები ყოველ მეორე წელს მოწმდება, – აღნიშნავენ სააგენტოში.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა დარღვევის შემთხვევაში ატრაქციონის მფლობელისთვის ფულადი სანქციის დაწესებაა განსაზღვრული. ჯარიმები 200 ლარიდან 2.000 ლარამდე მერყეობს.

როგორც „ბიზნესპრესნიუსს“ ტექნიკური ზედამხედველობის სააგენტოში განუცხადეს, სხვადასხვა დარღვევის გამო ფულადი სანქცია თითქმის ყველა ატრაქციონზე დაწესებულა.

ძირითადი დარღვევები კი რაც ფიქსირდება – სტატიკური და დინამიკური შემოწმების ჩაუტარებლობა, კონსტრუქციაში წყლის დაგროვება, კოროზია, სამგზავრო მოდულის ჩამკეტი მოწყობილობის გაუმართაობა, ჰიდრავლიკური და პნევმატური დგუშების გაუმართაობა და ა.შ. არის.

რაც შეეხება ატრაქციონების შემოწმებას, 2016 წლამდე მათ ინსპექტირებას სწორედ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო ახორციელებდა, 2017 წლიდან კი ობიექტებს აკრედიტებული კერძო ინსპექტირების ორგანოები შეამოწმებენ. ესენია: „სი ეი ინთერნეიშენალი“ და შპს „ტექინსპექტგარანტი“.

როგორც აღნიშნულ კომპანიებში „ბიზნესპრესნიუსს“ განუცხადეს, ამ ეტაპზე არცერთი ატრაქციონის ინსპექტირება არ მომხდარა.

მათივე ცნობით, შემოწმების შესახებ თავად ატრაქციონის მფლობელმა უნდა მიმართოს შემოწმების მიზნით კომპანიებს. ამასთან ერთად, იძულებითი გზით ინსპექტირების ჩატარების უფლება კომპანიებს არ აქვთ.

„ციცინათელას“, „ბომბორასა“ და კიდევ 1-2 პარკს თუ არ ჩავთვლით, საქართველოში, ფაქტობრივად, ყველგან მეორადი ატრაქციონებია დამონტაჟებული, რომლებიც სადღაც უკვე ფუნქციონირებდა და ისინია ჩამოტანილი. ზოგს საძირკველი აქვს დაზიანებული, ზოგს კონსტრუქცია და მთლიანობაში ბევრი ატრაქციონი არ არის კარგ მდგომარეობაში, – ამბობს შპს „ტექინსპექტგარანტის“ წარმომადგენელი ალექსანდრე ბეჟანიშვილი.

ატრაქციონების არასახარბიელო მდგომარეობაზე საუბრობს „სი ეი ინთერნეიშენალის“ გენერალური დირექტორი სანდრო შელია.

– როგორც მან „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნა, მართალია ჯერ არცერთი ატრაქციონი არ შეუმოწმებიათ, თუმცა სპეციალისტებისგან არის ზოგადი ინფორმაცია, რომ როგორც ატრაქციონების, ისე სხვა ობიექტების ტექნიკური მდგომარეობა არცთუ ისე სახარბიელოა.

როდის არის ატრაქციონები დამონტაჟებული, რამდენია ექსპლუატაციის ვადა და რა ინტენსივობით მოწმდება – ამ კითხვებით „ბიზნესპრესნიუსი“ „ზოოპარკისა“ და „მუშთაიდის პარკის“ ადმინისტრაციასაც დაუკავშირდა.

მუშთაიდის პარკის გენერალური მენეჯერი ირაკლი ბითაძე:

– ახალი ატრაქციონებია, სულ რაღაც 4 წელია, რაც დავამონტაჟეთ. შემოწმებას რაც შეეხება, ზედმეტსაც ვაკეთებთ. როგორც წესი, ახალ ატრაქციონებს შემოწმება არ სჭირდება, თუმცა პირველივე წლიდან ყოველთვიურ გეგმურ შემოწმებას ვუტარებთ. ამასთან, წელიწადში ერთხელ სპეციალური ლიცენზირებული ორგანო მოდის და ამოწმებს ყველაფერს. რაც შეეხება ატრაქციონების ექსპლუატაციის ვადას, ამ უცხოურ ატრაქციონებზე ექსპლუატაციის ვადა დადგენილი არ არის.

„თბილისის ზოოპარკში“ კი გვითხრეს, რომ ატრაქციონი სხვადასხვა კერძო კომპანიების მფლობელობაშია. აქედან რამდენიმე ატრაქციონი, მათ შორის ეშმაკის ბორბალი, ავტოდრომი, საქანელა და სხვა, შპს „ვოიაჟის“ მფლობელობაშია.

შპს „ვოიაჟის“ წარმომადგენელი იური ჯაფარიძე:

– ჩვენს მფლობელობაში რამდენიმე ატრაქციონია, რომლებსაც შემოწმება წელიწადში ერთხელ უტარდება, თუმცა, პატარა ატრაქციონებს შემოწმება არც სჭირდება. ობიექტები დაახლოებით 11 წელია, რაც ზოოპარკის ტერიტორიაზეა და ექსპლუატაციის ვადას რაც შეეხება, დადგენილი არა აქვთ.

ქართული სიგარეტის მწარმოებელი მომხმარებლებს აფყუებს

სიგარეტ „პირველის“ ბოლში, რომელიც Tbilisi Tobacco-ს მიერაა წარმოებული, კუპრის, ნიკოტინისა და მხუთავი აირის გადაჭარბებული რაოდენობა გამოვლინდა, – ukranews-ის ინფორმაციით, შესაბამისი კვლევა უკრაინის ჯანდაცვის სამინისტროს ტოქსიკოლოგიის პრევენციისა და ქიმიური უსაფრთხოების სამეცნიერო ცენტრმა ჩაატარა.

– კვლევის ყველა ნიმუშში, სიგარეტის ერთი ღერის ბოლში აღინიშნება კუპრის, ნიკოტინისა და მხუთავი აირის გადაჭარბებული რაოდენობა – 10,1 და 10 მგ. კერძოდ, უფილტრო სიგარეტPirveli 7 Blue-ში კუპრის რეალური რაოდენობა (19,5 მგ) თითქმის ორჯერ აღმატება იმ ოდენობას, რამდენიც კოლოფზე, მწარმოებლის მიერაა მითითებული (10 მგ).

სხვა ბრენდებშიც აღმოჩენილია კუპრის აშკარად გადაჭარბებული რაოდენობა: Pirveli Premium Blue 7 – 11.6 მგ (მითითებულია 8 მგ), Pirveli International Blue 7 – 12.7 მგ (მითითებულია 8 მგ).

ამასთან, მხუთავი აირის გადაჭარბებული ოდენობა, სიგარეტ „პირველის“ თითქმის ყველა ტესტირებულ ბრენდში გამოვლინდა. Pirveli Premium Red 9-სა და Pirveli Premium Blue 7-ში 14.2 მგ მხუთავი აირი გამოვლინდა, ხოლო Pirveli International Blue 7-ში – 15.8 მგ, როდესაც ყველა შემთხვევაში, მწარმოებელს შეფუთვაზე მხუთავი აირის შემცველობის 10-მილიგრამიანი მაჩვენებელი აქვს მითითებული.

ტესტირებულ სიგარეტებში აგრეთვე გადაჭარბებულია ნიკოტინის შემცველობაც. მაგალითად, Pirveli 7 Blue-ს ნიკოტინის შემცველობა 1,35 მილიგრამს შეადგენს, ხოლო მითითებულია 1 მგ, – აღნიშნულია კვლევაში.

უკრაინის ჯანდაცვის სამინისტროს ტოქსიკოლოგიის პრევენციისა და ქიმიური უსაფრთხოების სამეცნიერო ცენტრი WHO Tobacco Laboratory Network-ის წევრია, რომელიც 2005 წელს შეიქმნა.

აღნიშნული კვლევა 2017 წლის თებერვალში ჩატარდა.

ირაკლი კოვზანაძე: „დეპოზიტების დაზღვევის სისტემას საფუძველს ვუყრით“

– ჩემი წარმოდგენით, სტაბილური და მდგრადი საბანკო სისტემის უზრუნველსაყოფად ერთდროულად უნდა მუშაობდეს სამი კომპონენტი: ადეკვატური ფულადსაკრედიტო პოლიტიკა, მკაცრი საბანკო ზედამხედველობა და ქმედითი დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, – ეს განცხადება საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძემ საპარლამენტო სესიაზე „დეპოზიტების დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის პირველი მოსმენის დროს გააკეთა.

მისი თქმით, მათი ერთობლიობა არის საფუძველი საბანკო სისტემის მდგრადი და სტაბილური განვითარების.

– საქართველო ბოლო ქვეყანაა პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელიც დეპოზიტების დაზღვევის სისტემის განხორციელებას ახლა იწყებს. სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ჩვენ დაახლოებით 8 -10 წლით დავიგვიანეთ, ჩამოვრჩით მოვლენებს და განვითარებას. დღეს ჩვენ საფუძველს ჩავუყრით ქართული საფინანსო სექტორის კიდევ ერთ ფუნდამენტს – დეპოზიტების დაზღვევის სისტემას. მივესალმები და მხარს ვუჭერ წარმოდგენილ კანონპროექტს. ძალისხმევას არ დავიშურებ, რომ პარლამენტმა ოპტიმალურ ვადებში მიიღოს იგი, – განაცხადა კოვზანაძემ.

კოვზანაძის განცხადებით, დეპოზიტების დაზღვევის სისტემა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოქმედებს და იგი უზრუნველყოფს დეპოზიტების დაცვას იმ შემთხვევაში, თუ კომერციულ ბანკს ექმნება დეპოზიტების ანაზღაურების პრობლემა.

პირველ ეტაპზე დაზღვეული დეპოზიტების ანაზღაურებადი თანხების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება 5.000 ლარით, რაც იმას ნიშნავს, რომ დეპოზიტორთა დიდი უმრავლესობა მთლიანად იქნება დაზღვეული.

„დეპოზიტების დაზღვევის შესახებ“ კანონმდებლობის შემუშავებაში მონაწილეობას იღებდა მსოფლიო ბანკი და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები.

მოქალაქეები თბილისში ტრამვაის დაბრუნებას ითხოვენ

ტრამვაის ქსელის თბილისში დაბრუნების მოთხოვნით მოქალაქეებმა პეტიცია გაავრცელეს. პეტიცია მანიფესტ.გე-ზე 3 აპრილს გამოქვეყნდა. პეტიციის ადრესატი საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა და თბილისის მერიაა.

როგორც პეტიციაშია ნათქვამია, ტრამვაი ეკოლოგიურად სუფთა და კომფორტული სატრანსპორტო საშუალებაა, რაც თბილისს ახლა ყველაზე მეტად სჭირდება. პეტიციაში ასევე ნათქვამია, რომ ტრამვაით მგზავრობა ადამიანებისთვის კომფორტული უნდა იყოს. პეტიციის ავტორი საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის წევრი ალექსანდრე მიშელაშვილია.

– ტრამვაი ევროპულ ქალაქებს ეხმარება და თბილისსაც დაეხმარება. პეტიციის შექმნისკენ ქალაქში არსებულმა პირველმა პრობლემამ – დაბინძურებულმა ჰაერმა მიბიძგა. ეს ტრანსპორტი ეკოლოგიურად სუფთაა და გამონაბოლქვი არ აქვს, რადგან ელექტროენერგიაზე მუშაობს. ეს ყოველდღიურობას შეგვიმსუბუქებს.

ლამაზ და მყუდრო ქალაქში თანამედროვე ტრამვაი ცენტრალურ ქუჩებში რომ ივლის, მანქანით არავინ გამოვა.

გამომდინარე იქიდან, რომ ამ ინფრასტრუქტურის მოწყობა ძვირი ჯდება, ვფიქრობ, ქალაქში ტრამვაის ქსელის შექმნა ეტაპობრივად უნდა მოხდეს. თავდაპირველად ბაგებიდან კოლმეურნეობის მოედნამდე უნდა მოხდეს ხაზის შექმნა, რომელიც ილია ჭავჭავაძის, მელიქიშვილისა და რუსთაველის გამზირებს გაივლის, – ამბობს „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას პეტიციის ავტორი ალექსანდრე მიშელაშვილი.

პეტიციის განსახილველად 10.000 მოქალაქის ხელმოწერაა საჭირო. პეტიციას ამ დროისთვის 8 ათასამდე ხელმოწერა აქვს.

კომერსანტი

„არ შეიძლება, კალაძის ინტერესს სოფელი შეეწიროს!“

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ართანის მცხოვრებლებმა ადგილზე მცირე ჰესის მშენებლობა გააპროტესტეს.

მოსახლეობა კახა კალაძის ინტერესებზეც საუბრობს.

– იქ არანაირი ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება არ შეიძლება. მივიღებთ იმას, რაც გასულ წელს ვერეს ხეობაში მივიღეთ. არ შეიძლება, ერთი კონკრეტული პოლიტიკური პარტიისა და მისი ლიდერის კახა კალაძის ინტერესს ქვეყნის და სოფლის ინტერესი ეწირებოდეს, – აღნიშნა ერთ-ერთმა მოსახლემ.

„პრეზიდენტი საერთოდ ვერ ერკვევა, რას ნიშნავს ინსტიტუციური ნდობა“

„ქართული ოცნების“ წევრი ლევან გოგიჩაიშვილი პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებებს ეხმაურება. გოგიჩაიშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოს პრეზიდენტი ვერ ერკვევა, თუ როგორ უნდა იყოს უსაფრთხოების სისტემა ქვეყანაში.

– თუ პრეზიდენტისთვის არის საბჭოთა კავშირი ის, რომ ადამიანები ინსტიტუტებს ენდობიან, მაშინ ეს, მე ვფიქრობ, მისი პრობლემა არის, იმიტომ რომ საერთოდ ვერ ერკვევა, რას ნიშნავს ინსტიტუციური ნდობა. პრეზიდენტი ამ შემთხვევაში არის არათანმიმდევრული და საერთოდ ხედვა არ აქვს, როგორი უნდა იყოს უსაფრთხოების სისტემა და როგორ უნდა მუშაობდნენ სპეცსამსახურები საქართველოში, მაშინ როდესაც ის არის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე, – განაცხადა ლევან გოგიჩაიშვილმა.

მარინე ცუცქირიძე: „გუკა რჩეულიშვილი პროკურატურასთან მოლაპარაკებაში ჩაერთვება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობა“ რამდენიმე დღის წინ წერდა იმის შესახებ, რომ რჩეულიშვილების ვაჟი საპყრობილეს დატოვებდა, რადგან მას წინასწარი პატიმრობის 9-თვიანი ვადა ეწურებოდა.

ასეც მოხდა.

გუშინ, 6 აპრილს, გურამ რჩეულიშვილი, სასამართლოს გადაწყვეტილებით, 30.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ პატიმრობიდან გათავისუფლდა. გირაოს თანხა გუკა რჩეულიშვილმა 10 დღის ვადაში უნდა დაფაროს. ასევე მას პირადობის მოწმობა და პასპორტი ჩამოართვეს, რადგან, ბრალდების მხარის განცხადებით, არსებობს საფრთხე, რომ ბრალდებული გამოძიებას მიემალოს.

საქმის პროკურორის თქმით, აღნიშნული შედეგი დადგა იმიტომ, რომ დაცვის მხარემ პროცესი მიზანმიმართულად გააჭიანურა. პროკურატურა გირაოს სახით 50.000 ლარს ითხოვდა, თუმცა მოსამართლემ რჩეულიშვილს 30.000-ლარიანი გირაო შეუფარდა.

„ახალი თაობა“ რჩეულიშვილების ადვოკატ მარინე ცუცქირიძეს ესაუბრა.

– ქალბატონო მარინე, მოვისმინეთ პროკურატურის პოზიცია, რომ დაცვის მხარემ მიზანმიმართულად გააჭიანურა საქმე, რათა ეს შედეგი დამდგარიყო. რას უპასუხებდით ბრალდების მხარეს?

– თუკი ბრალდების მხარე გაჭიანურებას იმას ეძახის, რომ ჩვენ წარვადგინეთ მტკიცებულებები და გვყავს ძალიან ბევრი მოწმე, რომლებიც ადასტურებენ, რომ არ მიუმართავთ პროკურატურისთვის და თავს დაზარალებულად არ ცნობენ, ეს ადამიანები იკითხებიან. ბუნებრივია, ეს არ მოსწონს პროკურატურას. თუ ამას ეძახის ბრალდების მხარე გაჭიანურებას, არ ვიცი.

– ანუ თქვენ კანონის ჩარჩოებში მოქმედებდით?

– მე მგონი, დაცვის მხარესაც აქვს კანონით მინიჭებული უფლება, დაიცვას თავისი დაცვის ქვეშ მყოფი და წარადგინოს მტკიცებულებები, დაკითხოს მოწმეები და ასე შემდეგ. პროკურატურას უნდა, რომ არც მოწმე დავკითხოთ, არც მტკიცებულებები გამოვაქვეყნოთ და ისე გამოვიდეს განაჩენი, მაგრამ ასე ვერ იქნება. ჩვენ რომ ვიცავთ ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფს, ვკითხავთ მოწმეებს, ეს არ ნიშნავს, რომ ამით საქმეს ვაჭიანურებთ. ჩვენ ამით ვცდილობთ, სასამართლოს რეალური სურათი დავანახოთ.

– მაგნოლიის ეპიზოდში მაია რჩეულიშვილსაც მოეხსნა აღკვეთის ღონისძიება წინასწარი პატიმრობის სახით?

– მასაც მოეხსნა და გაუქმდა მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება. მაგნოლიის საქმეზე აღარ აქვს შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება მაია რჩეულიშვილს, მაგრამ, რადგან სხვა საქმეზე განაჩენით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა, ამიტომ ის საპატიმროს ვერ ტოვებს. რაც შეეხება გუკა რჩეულიშვილს, მან 10 დღის ვადაში უნდა გადაიხადოს 30.000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტში.

– საქმის პროკურორი აცხადებს, რომ გუკა რჩეულიშვილი აუცილებლად დაბრუნდება იქ, სადაც 9 თვის განმავლობაში იმყოფებოდა. თქვენ რა მოლოდინი გაქვთ?

– გრძელდება სასამართლო გამოძიება საქმეზე და, როდესაც დასრულდება, ერთად მოვისმენთ, რა განაჩენს გამოიტანს სასამართლო. პროკურატურამ რა, წინასწარ იცის, სასამართლო რა განაჩენს გამოიტანს?! თუ წინასწარ იცის, რა განაჩენს გამოიტანს, მაშინ ეს ძალიან საინტერესოა!

– თქვენ სხვა მოლოდინი გაქვთ?

– ჩვენ გვაქვს მოლოდინი, რომ თუ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოიტანს, დადგება გამამართლებელი განაჩენი!

– გუკა რჩეულიშვილის საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ რამდენად წავა წინ დაზარალებულების საქმე? რა შეიცვლება, რაიმე ახალი მოცემულობის წინაშე დგებით?

– ეს არის ოჯახის ერთადერთი წევრი, რომელიც გამოდის გარეთ. როგორც მოგეხსენებათ, ბატონი ვახტანგი უმძიმეს მდგომარეობაშია და ისიც ძალიან გვიხარია, რომ ამ უმძიმეს წუთებში შვილი მოინახულებს და მის გვერდით იქნება, რადგან მართლაც ძალიან მძიმეა მისი მდგომარეობა.

ასევე ის აუცილებლად ჩაერთვება პროკურატურასთან მოლაპარაკების პროცესში, ინვესტორების მოძიების პროცესში და, დარწმუნებული ვარ, ბევრად წაადგება მისი გარეთ ყოფნა ამ მდგომარეობას, რაც დღეს გვაქვს.

– თუ შეიცვალა რამე სასამართლოს გადაწყვეტილებაში ყადაღის მოხსნის კუთხით? პროკურატურა ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს თუ ძალაში რჩება?

– ძალაში ვერ დარჩება, რადგან, პროკურატურამ რომც არ გაასაჩივროს, დაცვის მხარე ვასაჩივრებთ აღნიშნულ განაჩენს.

– რატომ ასაჩივრებთ? ხომ გინდოდათ, ცენტრ პოინტის ქონებას ყადაღა მოხსნოდა?

– იმიტომ, რომ საპროცესო შეთანხმების კუთხით ჯერ რეალური პირობა არ ჩანს, საბოლოოდ არაფერია შეთანხმებული, ამიტომ ჩვენ ასე ულტიმატუმების სახით მოცემულ წინადადებაზე დაყრდნობით უარს ვერ ვიტყვით და ვერ გავუშვებთ ხელიდან გასაჩივრების ვადას. ამიტომ ამ ვადას გამოვიყენებთ, ვადაში გავასაჩივრებთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამით ვწყვეტთ მოლაპარაკებას. თუ იქნება ნორმალური წინადადებები და არა ასეთი ულტიმატუმები, ყველაფერი დაასრულეთ, ყველა დააკმაყოფილეთ, ყველაფერი ააშენეთ და მერე გაგიშვებთო, ეს არასერიოზული შემოთავაზებაა!

ცენტრ პოინტს რომ ჰქონოდა საშუალება, ყველაფერი დაესრულებინა, ამას ისედაც გააკეთებდა. თუ ნორმალური შემოთავაზება იქნება, საპელაციოში გასაჩივრება არ ნიშნავს იმას, რომ საპროცესო შეთანხმება აღარ შედგება. ეს ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ინსტანციაში შეიძლება შედგეს.

– ანუ ამ ეტაპზე იმ 41 ობიექტზე ყადაღა ძალაში რჩება?

– დიახ, ძალაში რჩება!

სისხლიანი ანგარიშსწორება თბილისის ცენტრში

იოსებიძის ქუჩაზე დაჭრილ ახალგაზრდა მამაკაცს რესპუბლიკურ საავადმყოფოში ორი ოპერაცია ჩაუტარდა.

როგორც „ნიუპოსტს“ რესპუბლიკურ საავადმყოფოში განუცხადეს, პაციენტი რეანიმაციულ განყოფილებაში მართვით სუნთქვაზე იმყოფება. მდგომარეობა კვლავ მძიმეა.

– პაციენტი კლინიკაში სასწრაფო დახმარების ბრიგადის მიერ იქნა მოყვანილი. აღენიშნებოდა მრავლობითი ცეცხლნასროლი ჭრილობები. სასიცოცხლო ჩვენებით ჩაუტარდა ოპერაციული ჩარევა. მდგომარეობა მძიმეა, – აცხადებს ქირურგი ნიკა კვაჭაძე.

რაც შეეხება უშუალოდ განზრახ მკვლელობის მცდელობას, როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, პოლიციას ბრალდებული ან ბრალდებულები არ დაუკავებია.

უცნობია სისხლიანი გარჩევის მოტივიც. როგორც იოსებიძის 69 ნომერში მცხოვრებლები აცხადებენ, გასროლამდე მათ ახალგაზრდებს შორის ჩხუბის ხმა გაიგეს.

ადგილზე მისულმა ექსპერტ-კრიმინალისტებმა ტყვიის მასრები ამოიღეს, რომლებსაც ექსპერტიზა ჩაუტარდება.

– ღამის ორ საათზე დაახლოებით ოთხი გასროლის ხმა გავიგეთ. ხმაურზე გამოსულს, მომესმა, როგორ ყვიროდნენ, დაჭრესო, – აღნიშნავს ერთ-ერთი ადგილობრივი.

სუსმა ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

სუსი ონის გამგეობის სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის დაკავებას ადასტურებს და აცხადებს, რომ გიორგი მელაშვილმა ქრთამის სახით 2.000 ლარი აიღო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან აცნობეს, ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი გიორგი მელაშვილი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს.

გამოძიების ინფორმაციით, გიორგი მელაშვილი თავისი სამსახურებრივი ავტორიტეტის გამოყენებით, ონის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული ფირმის წარმომადგენელს დაჰპირდა, რომ იგი ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდეგ უზრუნველყოფდა სატენდერო კომისიისა და ინსპექტირების ჯგუფის წევრების მიერ ობიექტის უპრობლემო ჩაბარებას, რის სანაცვლოდაც ქრთამის სახით მოითხოვა და აიღო 2.000 ლარი.

– გიორგი მელაშვილი თანხის გადაცემის დროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ბრალდებულის სახით დააკავეს. გადაცემული თანხა 2.000 ლარი ამოღებულია ნივთმტკიცებად.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით. გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო, – აცხადებენ სუსში.

მათივე ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, გიორგი მელაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკვე შეეფარდა.

გიორგი მელაშვილის დაკავების შესახებ ინფორმაცია მედიაში რამდენიმე დღის წინ გავრცელდა.

მოქალაქე პოლიციის ავტომობილს შეეჯახა. ეკიპაჟი ამოტრიალდა

მცხეთაში პოლიციის ავტომობილს მსუბუქი მანქანა დაეჯახა. „პიკაპის“ მარკის ავტომობილი ამოტრიალდა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ადგილზე პოლიციელები ამ წუთებში მუშაობენ. მსუბუქი ავტომობილის მძღოლი ამბობს, რომ მისი მანქანა სავარაუდოდ გაუმართავი იყო და მან საჭე ვერ დაიმორჩილა.

„ნიუპოსტი“ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუკავშირდა. უწყების ინფორმაციით, საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლი სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

გორში დევნილ ქალს ჩანთები მოჰპარეს

გორში დევნილ ქალს ჩანთები მოჰპარეს.

ამის შესახებ გორიდან „ნიუპოსტის“ კორესპონდენტი იტყობინება.

შემთხვევა კომბინატის დასახლებაში იმ დროს მოხდა, როდესაც დევნილი ქალი თბილისიდან გორში მატარებლით ბრუნდებოდა.

დაზარალებულის მეზობლების თქმით, მას შემდეგ, რაც ყვირილი გაიგეს, გაარკვიეს, რომ მეზობელს ოთხი ჩანთიდან 2 შინ მიმავალს მოჰპარეს. ჩანთებში პირადი ნივთები ელაგა.

მომხდართან დაკავშირებით შსს-მ გამოძიება ქურდობის მუხლით დაიწყო. უწყებაში აცხადებენ, რომ საგამოძიებო მოქმედებები ამ დრომდე მიმდინარეობს.

ნაციონალებმა მოსმენების კანონზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანეს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატებმა კამპანია „ეს შენ გეხებას“ ფარგლებში ე.წ. მოსმენების კანონზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანეს.

როგორც ნაციონალური მოძრაობის დეპუტატი ელგუჯა ბაგრატიონი აცხადებს, პარტია „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგება. მისივე თქმით, ნაციონალური მოძრაობა აღნიშნულ კანონს გაასაჩივრებს, რათა ძალაში არ შევიდეს. დეპუტატი მიიჩნევს, რომ ადამიანებს არ უნდა უსმენდნენ.

– ეს არის ბერკეტი, რომელიც ხელისუფლებას სჭირდება განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების მოსასმენად და მათ წინააღმდეგ გამოსაყენებლად. სახელმწიფოში ეს არ უნდა დაიშვას, – განაცხადა ელგუჯა ბაგრატიონმა.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკურჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

პეტერბურგელი ტერორისტი ჯიჰადისტებთან იყო დაკავშირებული?

გამოჩნდა ახალი მონაცემები ტერორისტ ჯალილოვის შესახებ, რომელმაც პეტერბურგის მეტრო ააფეთქა. ამ მონაცემებით, ჯალილოვი დაკავშირებული იყო ისლამისტურ დაჯგუფებასთან, რომელიც ოშის რაიონში მოქმედებს.

ამ დაჯგუფების წევრია 100-მდე უზბეკი მოქალაქე.

ყირგიზეთის უშიშროების სამსახურის ცნობით, გამორიცხული არ არის, ჯალილოვს კავშირი ჰქონოდა ისლამურ სახელმწიფოსთან და ამ ექსტრემისტული ორგანიზაციის ბაზაზე სპეცმომზადებაც გაევლო, ის მოქალაქეები კი, რომლებიც ჯალილოვს იცნობენ, მას ახასიათებენ, როგორც წყნარ, მშვიდ ადამიანს.

– ჯალილოვი კარატეზე დადიოდა, მაგრამ საბრძოლო ხელოვნების დაუფლებისას დიდ ენთუზიაზმს არ ამჟღავნებდა, – ამბობენ ისინი.

ევროპარლამენტმა უკრაინისთვის უვიზო მიმოსვლას მხარი დაუჭირა

ევროპარლამენტმა უკრაინის მოქალაქეებისათვის ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მინიჭებას მხარი დაუჭირა. აღნიშნულ გადაწყვეტილებას ხმა მისცა 521-მა დეპუტატმა, წინააღმდეგი 75 იყო, 36-მა დეპუტატმა თავი შეიკავა.

ევროპარლამენტში გუშინდელი კენჭისყრის შემდეგ უკრაინისათვის უვიზო რეჟიმის საკითხი ევროკავშირის საბჭომ უნდა დაამტკიცოს.

უკრაინისათვის უვიზო რეჟიმი, როგორც მოსალოდნელია, ივნისის დასაწყისში ამოქმედდება.

ტილერსონი მოსკოვში ჩავა



11 აპრილს იტალიაში დიდი შვიდეულის სამიტი გაიმართება. მას აშშ-ის სახელმწიფო მდივანი რექს ტილერსონიც დაესწრება. ამის შემდეგ ტილერსონი მოსკოვში გაემგზავრება, სადაც თავის რუს კოლეგა სერგეი ლავროვს შეხვდება.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ზახაროვამ აღნიშნული ცნობა ოფიციალურად დაადასტურა. მან განაცხადა, რომ მოლაპარაკებების უმთავრესი თემებია სირია, უკრაინა, აგრეთვე ჩრდილოეთ კორეა და საერთაშორისო ტერორიზმი.

– განსაკუთრებული ყურადღება დონბასში შექმნილ მდგომარეობაზე გამახვილდება, – თქვა ზახაროვამ.

მისი მტკიცებით, კიევი მინსკის უკანასკნელ შეხვედრაზე მიღწეულ შეთანხმებას არღვევს. ზახაროვამ ხაზი გაუსვა, რომ ეს ტილერსონთან მოლაპარაკებებზე განხილვის ერთერთი უმთავრესი თემა იქნება.

– როგორც ჩანს, უახლოეს ხანებში დონბასში მდგომარეობის მკვეთრ გამწვავებას უნდა ველოდოთ. რუსეთი ამას ჩვენ გადმოგვაბრალებს და შეეცდება, მინსკის სამშვიდობო პროცესის ჩაშლაში დაგვადანაშაულოს, – ასეთია პოლიტოლოგ ფისენკოს კომენტარი.

ლავროვ-ტილერსონის შეხვედრისთვის არასასურველ ფონს ქმნის სირიაში უკანასკნელ ხანს განვითარებული მოვლენები. საუბარია რუსების მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებაზე, რასაც უდანაშაულო ადამიანების, მათ შორის ბავშვების, სიცოცხლე შეეწირა. პრეზიდენტმა ტრამპმა სირიაში მომხდარ ამბავს ამაზრზენი უწოდა, სახელმწიფო მდივანმა ტილერსონმა კი მოსკოვისგან ასადის მხარდაჭერის შეწყვეტა მოითხოვა.

– მომხდარის შემდეგ რუსეთმა ასადის მხარდაჭერა უნდა შეწყვიტოს, – თქვა ტილერსონმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საუკეთესო ტრადიციული ეფექტური სამკურნალო საშუალება მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკეთესო საუკუნოვანი გამოცდილების მქონე ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ - დილას და საღამოს.

☎ 599-73-48-21.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ლიბერმანი: „ქიმიური შეტევა ასადის ბრძანებით განხორციელდა“

სირია ამ ბრალდებას უარყოფს

ისრაელის თავდაცვის მინისტრ ავიგდორ ლიბერმანის განცხადებით, სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ალ-ასადმა იდლიბის პროვინციაში ქიმიური იარაღით შეტევის განხორციელების თაობაზე ბრძანება გასცა.

„იედიოტ აჰრონოტთან“ ინტერვიუში ავიგდორ ლიბერმანმა განაცხადა, რომ სირიის სამხედრო თვითმფრინავებმა ორი ქიმიური შეტევა განახორციელეს, რაზეც ბრძანება უშუალოდ ბაშარ ალ-ასადმა გასცა. მისივე თქმით, ის ამაში 100 პროცენტით დარწმუნებულია.

ისრაელის თავდაცვის მინისტრის თქმით, მან არ იცის, იყო თუ არა რუსეთი ჩართული ამ შეტევაში.

ლიბერმანმა განაცხადა, რომ ისრაელს არ გააჩნია მიზეზი, ამ ომში ჩაებას.

– საერთაშორისო საზოგადოების პასუხი ნულის ტოლია. პასუხი, უბრალოდ, არ არსებობს. ეს კი მე კვლავ იმ დასკვნამდე მაბრუნებს, რომ ისრაელს მხოლოდ თავისი თავის იმედი უნდა ჰქონდეს, – დასძინა მან.

სხვა პოზიცია აქვს სირიის მთავრობას.



– სირიის შეიარაღებულ ძალებს კონფლიქტის მსვლელობისას ქიმიური იარაღი არ გამოუყენებიათ, – განაცხადა სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვალიდ მუალემ.

– ვადასტურებ, რომ სირიის არმიას ქიმიური იარაღი არცერთხელ არ გამოუყენებია და არც მომავალში გამოიყენებს არა მხოლოდ სამოქალაქო მოსახლეობის, არამედ ტერორისტების წინააღმდეგაც კი, – განაცხადა სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

მისი თქმით, 2013 წელს სირია ქიმიური იარაღის აკრძალვის შესახებ კონვენციას შეუერთდა და ნაკისრ ვალდებულებებს პირნათლად ასრულებს.

მუალემმა სიცრუე უწოდა გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ იდლიბის პროვინციაში, ქალაქ ჰან-შეიხუნში, სირიელმა სამხედროებმა ქიმიური იარაღი გამოიყენეს.

იმავდროულად, მან აღნიშნა, რომ ჯებჰატ ან-ნუსრასა და ისლამური სახელმწიფოს ტერორისტებს დასახლებულ პუნქტებში მომწამვლელი ნივთიერებების მარაგები აქვთ.

უკრაინა-კანადა: თავდაცვაში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება დაიდო

უკრაინა და კანადა თავდაცვის სფეროში თანამშრომლობას აფართოებენ. სათანადო შეთანხმებას ხელი მოაწერეს კანადის თავდაცვის მინისტრმა სტარჯანმა და მისმა უკრაინელმა კოლეგა პოლტორაკმა.

შეთანხმების მიხედვით, კანადა უკრაინას იარაღს მიაწვდის.

– ეს ისტორიული შეთანხმებაა, – განაცხადა პოლტორაკმა.

უკრაინის თავდაცვის მინისტრმა გამოთქვა იმედი, რომ შეთანხმების შედეგად უკრაინის არმიის აღჭურვა კიდევ უფრო გაუმჯობესდება, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაც განმტკიცდება.

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 280 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

მკურნალობა

● პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ სქესობრივ უძლურებას; სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, მამაკაცებში მკურნალობაში ვიყენებთ სათანადო აპარატურასა და სქესობრივი კავშირის დასამყარებელ საიმედო „ერექტორებს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

მოძმანაშვილს ოლიმპიურ ჩემპიონად გამოაცხადებენ

დავით მოძმანაშვილი უახლოეს ხანში ოლიმპიურ ჩემპიონად გამოცხადდება.

ეს ინფორმაცია მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც საერთაშორისო ანტიდოპინგურმა კომისიამ თავისუფალ ჭიდაობაში უზბეკთა მძიმეწონისან ოლიმპიურ ჩემპიონ არტურ ტაიმაზოვს ლონდონის 2012 წლის სინჯებში დოპინგი აღმოუჩინა.

ტაიმაზოვს უკვე მეაორე ოლიმპიურ ოქროს ართმევენ, რადგან ერთხელ უკვე იყო შერისხული და პეკინის 2008 წლის თამაშებზე მოპოვებული ოქრო ჩამოართვეს.

განმეორებითი ანალიზებით, 2008 წლის სინჯებში ტურნიბოლი აღმოუჩინეს და დისკვალიფიკაცია მისცეს უკრაინელთა ვიცეჩემპიონ ვასილ ფედორიშინსაც (60).

ეს მეორე შემთხვევაა, როცა საერთაშორისო დოპინგსკანდალით ჩვენც ვისარგებლეთ – ცოტა ხნის წინ დისკვალიფიკაციის გამო 2008 წელს მოპოვებული ვერცხლი ჩამორთვეს 97 კილოგრამში ყაზახეთის სახელით მოჭიდავე ოს თეიმურაზ თიგიევს და ის გიორგი გოგშელიძეს გადასცეს.

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები რეიტინგში დაწინაურდა

ფიფას ვებგვერდზე განახლებული რეიტინგი გამოქვეყნდა და საქართველოს ნაკრებს წინსვლა აქვს.

მარტში ჩატარებული მატჩების შემდეგ, რომლებშიც საქართველოს ეროვნული ნაკრები ჯერ სერბეთთან დამარცხდა (1:3), შემდეგ კი ლატვია გაანადგურა (5:0), ვლადიმირ ვაისის გუნდი 4 პოზიციით დაწინაურდა. საქართველოს ნაკრები 126 საფეხურზე იყო, ახლა კი 274 ქულით 122-ე პოზიციაზეა და მომდევნო მატჩს 7 ივნისს სენტ კიტსისა და ნევისის ნაკრებთან გამართავს, რომელიც განახლებულ რეიტინგში 99-ე ადგილზეა.

საქართველოს ნაკრები ამხანაგური მატჩის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მე-6 ტურის შეხვედრას სტუმრად მოლდოვაში გამართავს. მოლდოველები განახლებულ რეიტინგში ასევე 4 საფეხურით დაწინაურდნენ და 158-ე ადგილზე არიან.

ათეულში ცვლილებებია: პირველ ადგილზე ავიდა ბრაზილია, რომელმაც უკან ჩამოიტოვა არგენტინის ნაკრები. ასევე ათეულში შევიდა შვეიცარიაც.

საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება:

1.ბრაზილია – 1.661 ქულა; 2.არგენტინა – 1.603; 3.გერმანია – 1.464; 4.ჩილე – 1.403; 5.კოლუმბია – 1.348; 6.საფრანგეთი – 1.294; 7.ბელგია – 1.281; 8.პორტუგალია – 1.259; 9.შვეიცარია – 1.212; 10.ესპანეთი – 1.204.

ფაჩულია და გოლდენ სტეიტი რეგულარული სეზონის ჩემპიონია

გოლდენ სტეიტ უორიორზმა გუშინ დილით სტუმრად ფინიქსი დაამარცხა და რეგულარული სეზონის ჩემპიონობა გაიაღდა – ოკლენდელებს ორივე კონფერენციაში საუკეთესო შედეგი და მთელი პლეი ოფის მსვლელობისას საკუთარი მოედნის უპირატესობა აქვთ. ამაში ზაზა ფაჩულიას გუნდს სან ანტონიოც წაეხმარა, რომელმაც შინ ლოს ანჯელეს ლეიკერსთან წააგო.

მეომრებმა მიმდინარე სეზონში 65-ე გამარჯვება მოიპოვეს. ლიგის ისტორიაში ეს მეოცე შემთხვევაა, როდესაც კლუბმა რეგულარულ ჩემპიონატში ამ რაოდენობის წარმატებული შეხვედრა ჩაატარა. 20 შემთხვევიდან 14-ში ეს გუნდები საბოლოოდ ნბა-ს ჩემპიონები გახდნენ.

42 ქულითა და 11 პასით საუკეთესო კალათბურთელი სტეფ კარი იყო, ზაზა ფაჩულიამ კი 18 წუთში 4 ქულა (ოთხიდან ორი ორქულიანი ჩააგდო), 3 მოხსნა და 2 პასი მიითვალა.

გოლდენ სტეიტს რეგულარულ პირველობაზე სამი საშინაო ასპარეზობაღა დარჩა. უახლოესში ის ნიუ ორლეან პელიკანზს უმასპინძლებს.

ოლიმპმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა

ოლიმპი-ქუთაისი 77:73

(10:19, 17:11, 23:18, 27:25)

სუპერლიგის 25-ე ტურის 1-ლი მატჩი ადრიანად ჩატარდა. ერთმანეთს ბოლოსწინა ადგილზე მყოფი ოლიმპი და მეორეადგილოსანი ქუთაისი შეხვდნენ. გამარჯვება ოლიმპელებს დარჩათ, რომლებმაც სამაგალითოდ იბრძოლეს და უმნიშვნელოვანესი ქულები მოიპოვეს – 77:73.

ოლიმპი სუპერლიგაში დასარჩენად იბრძვის და პლეი ოფში უკვე გასულ ქუთაისთან ძალიან მოინდომა. არადა, იმერულმა კლუბმა მატჩი შედეგიანად დაიწყო: პირველი პერიოდი 19:10 მოიგო, თუმცა მასპინძლებმა ვითარების გამოსწორება მალევე მოახერხეს და დიდი შესვენებისთვის ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირეს – 27:30.

ოლიმპმა ლიდერობა მესამე მეოთხედში მოიპოვა. თბილისური გუნდი დაცვაშიც შედეგიანად თამაშობდა და შეტევაშიც, რაც ბოლო პერიოდშიც გაგრძელდა და თამაშის დასრულებამდე 2,30 წუთით ადრე ქუთაისი 9 ქულით ჩამორჩა. დარჩენილ დროში სტუმრებმა ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ მაქსიმუმი, რაც შეძლეს, ჩამორჩენის 2 ქულამდე შემცირება იყო.

საბოლოოდ ოლიმპმა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა და ცხრილში მგზავრები ბოლო ადგილზე დატოვა.

თბილისურ გუნდს 23 ქულით რევაზ როგავამ ულიდერა. 18 ქულა გივი ბაქრაძის ანგარიშზე დაგროვდა, ტრე ბურნეთმა კი 17 ქულა მიითვალა.

ქუთაისში 18 ქულით ბომბარდირი ზაურ ფაშაევი გახდა, გიორგი ცინცაძე კი სამმაგი დუბლის ზღვრამდე მივიდა – 15 ქულა, 11 მოხსნა, 9 პასი.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო	24	23	12133-1702	47
2.ქუთაისი	25	18	72013-1879	43
3.რუსთავი	24	13	111903-1907	37
4.კაკტუსი	24	10	141896-2039	34
5.ოლიმპი	25	9	161817-1869	33
6.სოხუმი	24	9	151928-2045	33
7.ბათუმი	24	8	161827-1943	32
8.მგზავრები	24	7	171779-1912	31

შენიშვნა: ოლიმპს დაკლებულიაქვს 1 ქულა.

სამტრედიამ წაგებული მატჩი შემოაბრუნა, დინამო ლიდერებს დაეწია

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

საბუთალო – სამტრედია 1:2

თბილისი. მიხეილ მესხი

1:0 ვაგნერი (27), 1:1 მარკოზაშვილი (48), 1:2 ჩაგელიშვილი (58)

საბურთალო: კუპატაძე, ელვინ ტერა, მარგველაშვილი, ცნობილაძე, ლაკვეხელიანი, მამუჩაშვილი, არზიანი (სოფრომაძე 59), ვაგნერი (კოხრეიძე 65), ხარაიშვილი, შინდაგორიძე (ალთუნაშვილი 52), იმნაძე

სამტრედია: მიგინეიშვილი, მჭედლიშვილი (სუხომლინოვი 82), სანდოხაძე, ახალაძე, დათუნაიშვილი, კასრაძე, მარკოზაშვილი, რაჟამაშვილი, ჩაგელიშვილი, სამუშია (ბერიაშვილი 46), ჯიქია (მთივლიშვილი 90)

გაძევება: ელვინ ტერა (47)

ძალიან საინტერესო და დაძაბული მატჩი გამოდგა. პირველი ტაიმი დედაქალაქელებმა მოიგეს, მაგრამ მეორე ტაიმის დებიუტში საბურთალო უმცირესობაში დარჩა და იმერლებმა ჯერ გაათანაბრეს, 58-ე წუთზე კი გამარჯვების გოლი გაიტანეს.

უნდა ითქვას, რომ მეორედ მოუწია კაცნაკლული შემადგენლობით თამაში და ამჯერადაც დამარცხდა. პირველად ეს მეორე ტურში ფოთის კოლხეთთან მოხდა.

არადა, თამაშის ნახევარი გიორგი ჭიაბრიშვილის შეგირდებმა მეტოქეზე უკეთ ჩაატარეს და ტაიმი მოიგეს კიდევაც. ანგარიშის გახსნამდე გატანა ლაშა შინდაგორიძეს შეეძლო, მაგრამ მისი დარტყმული ხარიხას მოხვდა. 27-ე წუთზე კი ბრაზილიელი ვაგნერის საჯარიმოს გარედან დარტყმული ბურთი მეტოქის ბადეში გაეხვა – 1:0.

რამდენიმე წუთში ზურაბ არზიანის გამოზომილი პასის შემდეგ, ლუკა იმნაძე ურტყამდა კარში, მაგრამ სიზუსტე დააკლდა. ტაიმის მიწურულს სტუმარ დავით ჯიქიას შეექმნა ხელსაყრელი ეპიზოდი, მაგრამ დარტყმა არ გამოუვიდა.

მეორე ნახევრის მეორე წუთზე ელვინ ტერა შეცდა, მეტოქე კი წესების დარღვევით შეაჩერა. მთავარმა არბიტრმა გიორგი ვადაჭკორიამ ყვითელი ბარათი უჩვენა, კენიელისთვის კი თამაშში მეორე გამოდგა და მოედნის ნაადრევად დატოვება მოუხდა. ისე მოხდა, რომ აღნიშნულ ჯარიმას გოლიც მოჰყვა – სტანდარტულს თეიმურაზ მარკოზაშვილი თავით გამოეხმაურა და 1:1 გახადა.

ანგარიშის გათანაბრებიდან 10 წუთში კი სტუმრებმა მეორე გოლიც გაიტანეს – დავით ჩაგელიშვილმა იმერლები წინ გაიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ წინ კიდევ დიდი დრო იყო დარჩენილი, საბურთალომ ბოლომდე იბრძოლა, თუმცა მატჩის გადარჩენა ვეღარ შეძლო.

დინამო (თბ)-ჩიხურა 2:1

თბილისი. დინამოს არენა

1:0 ჩაკვეტაძე (12), 1:1 ივანიშვილი (69), 2:1 ზარია (85)

დინამო: ლიტოვჩენკო, თოთაძე, სალუქვაძე, ლოჩოშვილი, მიშენკო, ქარდავა, კიტეიშვილი, ლობჟანიძე, მიქელთაძე (ზარია 77), ჩაკვეტაძე (პაპუნაშვილი 46), არაბული (კუცია 90)

ჩიხურა: ჰამზიჩი, მირცხულავა, განუგრავა (ივანიშვილი 61), გეგეჭკორი (სარდალიშვილი 61), გაბედავა, კაკუბავა, ჩიკვაიძე, ჭელიძე, კაშია, გორგიაშვილი (დობროვოლსკი 84), გელაშვილი

შეხვედრა მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს და პირველი სახიფათო მომენტი უკვე მე-3 წუთზე შექმნეს – ბაჩანა არაბულის დარტყმული მცირედით ასცდა დინო ჰამზიჩის კარს. საპასუხოდ ნიკა გელაშვილი ამწვავებდა სიტუაციას, მაგრამ საბოლოოდ ლაშა სალუქვაძის კარგი თამაშის შემდეგ სიტუაცია განიმუხტა. მატჩის მე– 11 წუთზე სერგეი ლიტოვჩენკომ ითამაშა კარგად, როდესაც გიორგი განუგრავას სახიფათო დარტყმული კუთხურზე უკუაგდო. მომდევნო შეტევაში კი თბილისელებმა ლამაზი და სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს: მარჯვენა ფრთიდან ბექა მიქელთაძე შეიჭრა სტუმართა საჯარიმოში, ბურთი გიორგი ჩაკვეტაძეს გადააწოდა, რომელმაც ძლიერი დარტყმით სადებიუტო გოლი გაიტანა – 1:0.

ერთ წუთში დინამოს მე-2 გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ მიქელთაძემ არაზუსტად დაარტყა. ტაიმის შუაში სათამაშო რიტმი ოდნავ დაეცა და ბრძოლამაც ძირითადად მოედნის ცენტრში გადაინაცვლა. 37-ე წუთზე მასპინძლებმა წამოიწყეს შეტევა, ბაჩანა არაბული გაცდა ერთ მეტოქეს და კარგი პოზიციიდან ურტყამდა, თუმცა მცველმა კუთხურზე მოიგერია. პირველი ნახევრის ბოლო წუთებზე სერიოზული აღარაფერი მომხდარა და ტაიმიც დასრულდა.

მეორე ნახევარი დინამოელებმა ცვლილებით დაიწყეს. გოლის ავტორი გიორგი პაპუნაშვილმა შეცვალა. 65-ე წუთზე თორნიკე გორგიაშვილის დარტყმული ლიტოვჩენკომ გააქვავა, 4 წუთში კი შეცვლაზე შემოსულმა გიორგი ივანიშვილმა ზუსტი დარტყმით წონასწორობა აღადგინა – 1:1.

დინამოელებმა ბოლო 15 წუთი მასირებულ შეტევებში გაატარეს და შედეგი 85-ე წუთზე მიიღეს. საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი სტუმართა მცველებმა უხეიროდ გამოიტანეს, ბურთთან პირველი გიორგი ზარია გაჩნდა, ძლიერად გაისროლა და ჩიხურას კარის ცხრიანში გაახვია ბურთი – 2:1.

მსაჯმა შეხვედრას 5 წუთი დაამატა, კომპენსირებულ დროში არაბული თამაშობდა სახიფათოდ, მისი ჩაწოდებული ბურთი კი ადრესატამდე ვერ მივიდა, არადა, პაპუნაშვილი გადიოდა მეკარესთან პირისპირ. საბოლოოდ დინამომ იმარჯვა და მორიგი 3 ქულა ჩაიწერა აქტივში.

დინამო (ბთ)-შუქურა 2:0

1:0 თევდორაძე (39), 2:0 შონია (90)

დინამო: ტიმოფეევი, ფარტენაძე, გოგიტიძე, კვირკველია, სუხიაშვილი, თარხნიშვილი, ფონიავა (კვანტალიანი 72), ქავთარაძე, კენედი (ჯოვინიო 67), თევდორაძე (შონია 49), კვასოვი

შუქურა: ჯიოევი, ჭეჟია, მახარაძე, საბაძე, ართმელაძე, ჭეჭელაშვილი, კლიმიაშვილი, მამულაშვილი, კუტალია, სანდრო გურული, ჯეფინიო

გაძევება: მახარაძე (86)

ბათუმის დინამომ ეროვნული ლიგის მეხუთე ტურში 2:0 სძლია ქობულეთის შუქურას და ლიდერთა ჯგუფს შეუერთდა. გოლები ვაკო თევდორაძემ და მის ნაცვლად მოედანზე შესულმა თეიმურაზ შონიამ გაიტანეს.

თევდორაძემ თავისივე დაწყებული შეტევა დასრულა გოლით. ხანგრძლივი შეტევის მერე, პაპუნა ფონიავამ დაარტყა, მეკარე ჯიოევმა მოიგერია და თევდორაძემ თავურით დაამატა. მეორე გოლი კი მთლიანად შონიასი იყო: ბათუმელმა საკუთარ ნახევარზე წაართვა ბურთი მეტოქეს, კონტრშეტევაზე ერთ ფეხბურთელს გასცდა, მეკარის ბაქნამდე ირბინა, პირველი დარტყმა აუღო ჯიოევმა, მაგრამ თავადვე დაამატა – 2:0.

სატუხინირო ცხრილი:

1.ლოკომოტივი	5	3	1	1	10-4	10
2.დინამო (თბ)	5	3	0	2	6-4	9
3.დინამო (ბთ)	5	3	0	2	5-3	9
4.საბურთალო	5	3	0	2	5-6	9
5.ჩიხურა	5	2	1	2	5-4	7
6.სამტრედია	5	2	1	2	4-5	7
7.ტორპედო	5	1	3	1	5-5	6
8.კოლხეთი	5	2	0	3	8-10	6
9.დილა	5	1	2	2	3-4	5
10.შუქურა	5	0	2	3	5-11	2

შედეგები

5 აპრილი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

არსენალი-ვესტ ჰემი	3:0
ჰალი-მიდლსბრო	4:2
სუონსი-ტოტენჰემი	1:3
საუთჰემპტონი-კრ.პალასი	3:1
ჩელსი-სიტი	2:1
ლივერპული-ბორნმუთი	2:2

სატუხინირო ცხრილი:

1.ჩელსი	30	23	3	4	62-24	72
2.ტოტენჰემი	30	19	8	3	60-22	65
3.ლივერპული	31	17	9	5	66-39	60
4.სიტი	30	17	7	6	57-34	58
5.არსენალი	29	16	6	7	61-36	54
6.მანჩესტერი	29	14	12	3	43-24	54
7.ევერტონი	31	14	9	8	53-34	51
8.ვესტ ბრომვიჩი	31	12	8	11	39-40	44
9.საუთჰემპტონი	29	10	7	12	36-37	37
10.უოტფორდი	30	10	7	13	36-48	37
11.ლესტერი	30	10	6	14	37-47	36
12.სტოკი	31	9	9	13	33-45	36
13.ბორნმუთი	31	9	8	14	44-56	35
14.ბარნლი	31	10	5	16	32-44	35
15.ვესტ ჰემი	31	9	6	16	41-57	33
16.კრ.პალასი	30	9	4	17	39-50	31
17.ჰალი	31	8	6	17	32-61	30
18.სუონსი	31	8	4	19	37-66	28
19.მიდლსბრო	30	4	11	15	22-37	23
20.სანდერლენდი	30	5	5	20	24-53	20

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ჰადერსფილდი-ნორვიჩი	3:0
ნიუკასლი-ბარტონი	1:0

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ბარსელონა-სევილია	3:0
დეპორტივო-გრანადა	0:0
ხიხონი-მალაგა	0:1
ალავესი-ოსასუნა	0:1
ლეგანესი-რეალი	2:4

სატუხინიო ცხრილი:

1.რეალი	29	22	5	2	78-30	71
2.ბარსელონა	30	21	6	3	88-26	69
3.ატლეტიკო	30	18	7	5	55-23	61
4.სევილია	30	17	7	6	52-37	58
5.ვილიარეალი	30	14	9	7	42-23	51
6.ბილბაო	30	15	5	10	39-33	50
7.სოსიედადი	30	15	4	11	43-41	49
8.ეიბარი	29	12	8	9	47-41	44
9.ესპანიოლი	30	11	10	9	42-42	43
10.სელტა	28	12	5	11	43-46	41
11.ალავესი	30	10	10	10	29-37	40
12.ლას პალმასი	29	9	8	12	45-48	35
13.ვალენსია	29	9	6	14	41-51	33
14.ბეტისი	30	8	7	15	32-47	31
15.მალაგა	30	7	9	14	34-47	30
16.დეპორტივო	30	6	10	14	31-46	28
17.ლეგანესი	30	6	9	15	25-46	27
18.ხიხონი	30	5	7	18	31-58	22
19.გრანადა	30	4	8	18	26-62	20
20.ოსასუნა	30	2	8	20	30-69	14

გერმანია. ბუნდესლიგა

გლადბახი-ჰერტა	1:0
მაინცი-ლაიპციგი	2:3
ვოლფსბურგი-ფრაიბურგი	0:1
აუგსბურგი-ინგოლშტადტი	2:3
დარმშტადტი-ლევერკუზენი	0:2

სატუხინიო ცხრილი:

1.ბაიერი	27	20	5	2	67-14	65
2.ლაიპციგი	27	17	4	6	50-30	55
3.ჰოფენჰაიმი	27	13	12	2	50-26	51
4.დორტმუნდი	27	14	8	5	58-28	50
5.კოლნი	27	10	10	7	39-31	40
6.ჰერტა	27	12	4	11	35-34	40
7.ფრაიბურგი	27	11	5	11	35-47	38
8.აინტრახტი	27	10	7	10	26-28	37
9.გლადბახი	27	10	6	11	31-34	36
10.ლევერკუზენი	27	10	5	12	42-43	35
11.ვერდერი	27	10	5	12	42-46	35
12.შალკე	27	9	7	11	33-31	34
13.ვოლფსბურგი	27	8	6	13	26-38	30
14.ჰამბურგი	27	8	6	13	26-50	30
15.მაინცი	27	8	5	14	36-46	29
16.აუგსბურგი	27	7	8	12	26-43	29
17.ინგოლშტადტი	27	7	4	16	28-45	25
18.დარმშტადტი	27	4	3	20	17-53	15

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბოხუმი-კაიზერი	0:0
უნიონი-აუე	0:1
ფიურტი-ბრაუნშვაიგი	0:0
მიუნხენი 1860-შტუტგარტი	1:0
დინამო-ჰაიდენჰაიმი	1:1

იტალია. თასი

ნაპოლი-იუვენტუსი	3:2

საფრანგეთი. 1 ლიგა

მეცი-ლიონი	0:3

სატუხინიო ცხრილი:

1.მონაკო	30	22	5	3	87-26	71
2.პსჟ	30	21	5	4	60-21	68
3.ნიცა	31	19	10	2	50-25	67
4.ლიონი	31	17	3	11	64-35	54
5.მარსელი	31	13	8	10	44-38	47
6.ბორდო	31	12	10	9	43-39	46
7.სტ.ეტიენი	30	11	11	8	34-24	44
8.გენგამი	31	11	8	12	38-39	41
9.ნანტი	31	11	8	12	30-45	41
10.ტულუზა	31	10	10	11	33-33	40
11.რენი	31	9	13	9	29-34	40
12.ანჟე	31	11	6	14	32-40	39
13.ლილი	31	10	7	14	30-37	37
14.მეცი	30	9	8	13	29-56	35
15.მონპელიე	31	8	9	14	43-55	33
16.კაენი	31	9	5	17	31-52	32
17.დიჟონი	31	6	11	14	39-48	29
18.ნანსი	31	7	7	17	21-41	28
19.ლორიანი	31	8	4	19	33-61	28
20.ბასტია	31	5	10	16	24-45	25

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

ჰერაკლესი-ვიტესი	0:1
გრონინგენი-ნაიმეგენი	2:0
აიაქსი-ალკმაარი	4:1
ფეინოორდი-იგლზი	8:0
ტილბურგი-დენ ჰააგი	1:2

ჰორტუგალია. თასი

ბენფიკა-ეშტორილი	3:3

ჩუსეთი. თასი

ლოკომოტივი-უფა	1:0

შოტლანდია. პრემიერლიგა

კილმანროკი-რეინჯერსი	0:0
მოზერველი-ჰამილტონი	0:0
სელტიკი-პარტიკი	1:1
სტ.ჯონსონი-ჰართსი	1:0

ავსტრია. თასი

აუსტრია-ადმირა	1:2
ზალცბურგი-კაფენბერგი	2:1(დდ)
სტ.პოლენი-რაპიდი	1:3

რაპიდის მე-3 გოლი გიორგი ქვილითაიამ გაიტანა

საბერძნეთი. სუპერლიგა

ქსანთი-პანეთოლიკოსი	3:0
ატრომიტოსი-პაოკი	0:2
ვერია-იანინა	3:0
ირაკლისი-ლევადიაკოსი	1:0
ლარისა-ასტერასი	1:4
კერკირა-ოლიმპიაკოსი	0:2

თურქეთი. თასი

რიზე-ქაშიმფაშა	2:2
ფენერბახჩე-ქაისერი	3:0

ნორვეგია. ეროვნული

მიოლდე-ლილესტრიომი	2:1
ალესუნდი-სარპსბორგი	1:3
სანდეფიორდი-რუსენბორგი	0:3
სონგდალი-სტაბეკი	4:1
ოდ გრელანდი-კრისტიანსუნი	2:0

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ჰიკი-ვაასა	5:0
სეინეოკი-ლახტი	1:1

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

რა არის ფებრილური გულყრა

ეკა ირემაშვილი

ფებრილური გულყრა არის მდგომარეობა, როდესაც ბავშვები გონებას კარგავენ და კიდურების კანკალი აღენიშნებათ. იგი ჩვილებსა და პატარა ბავშვებს ემართებათ მაღალი სიცხის ფონზე.

რა უნდა ვიცოდეთ ფებრილური გულყრის შესახებ, რამდენად ხშირია იგი და არის თუ არა საშიში, როგორ ხდება დიაგნოსტიკა და მკურნალობა? – ამ თემებზე იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ნეირომეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნანა ტატიშვილი საუბრობს.

ნანა ტატიშვილი:

– სიცხისმიერი გულყრები და კრუნჩხვები ჯანმრთელ ბავშვებს უვითარდებათ ამა თუ იმ ცხელებით მიმდინარე დაავადებების დროს. როგორც წესი, ასეთი სახის კრუნჩხვები ვითარდება 6 თვის ასაკიდან სკოლის ასაკამდე, თუმცა იშვიათ შემთხვევაში შეიძლება, რომ ცოტა უფრო ადრე ან ცოტა უფრო მოგვიანებით დაიწყოს. ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ მხოლოდ იმ ბავშვებს, რომელთაც ნერვული სისტემის დაავადების გამო არ აქვთ ცხელება, არამედ აქვთ სხვადასხვა სახის ჩვეულებრივი ვირუსული ან ბაქტერიული ავადმყოფობა, რომლის დროსაც სიცხის აწევაზე ვითარდება გულყრა.

– რამდენად ხშირია ასეთი შემთხვევები?

– ეს არც ისე იშვიათია, ჯანმრთელი ბავშვების 3-4 პროცენტს უვითარდება ასეთი მდგომარეობა. თუ ეს იყო მისი პირველი შემთხვევა ან თუ მანამდეც ჰქონდა შეტევები, ოღონდ ისიც სიცხის ფონზე, შეგვიძლია, შედარებით მშვიდად ვიყოთ, რადგან ეს არ არის საშიში მდგომარეობა, არ ემუქრება მის ჯანმრთელობას არც იმ მომენტში და არც მომავალში საფრთხე. თუმცა, რა თქმა უნდა, შესახედავად ნებისმიერი კრუნჩხვა, ბავშვის მიერ ცნობიერების დაკარგვა იწვევს შფოთს ოჯახში, ყველა ცუდად არის, ყველას ჰგონია, რომ ეს არის დასასრული ბავშვის, მაგრამ, თუ ჩვენ გვეცოდინება, რომ სიცხეზე განვითარებული კრუნჩხვის დროს ჩვენი შვილის სიცოცხლეს იმ წუთში არანაირი საფრთხე არ ემუქრება და მით უმეტეს, თუ ისიც გვეცოდინება, რომ მომავალში ეპილეფსიის განვითარების რისკი თითქმის არ არსებობს, ასეთ შემთხვევაში ცოტა უფრო მშვიდად ვიქნებით, რამდენადაც შესაძლებელია, მშობელი იყოს მშვიდად, როცა ბავშვი არ არის კარგად.

ფებრილური გულყრები ანუ სიცხისმიერი გულყრები იყოფა ორ ჯგუფად – მარტივად და რთულად. მარტივი ფებრილური გულყრის შემთხვევაში სულ სხვა სტრატეგიაა, რაც ჩვენი მხრიდან ჩარევას არ საჭიროებს, რთული ფებრილური გულყრის დროს კი შეიძლება დაგვჭირდეს გარკვეული კვლევების ჩატარება.

– რა განსხვავებაა მარტივ და რთულ ფებრილურ გულყრებს შორის?

– ეს გულისხმობს იმას, რომ მანამდე ჯანმრთელ ბავშვს, რომელსაც არ ჰქონდა განვითარების რაიმე პრობლემა, განუვითარდება მაღალი ცხელების დროს 38-ზე არახანგრძლივი გულყრა. მშობლისთვის 2-3 წუთიც ხანგრძლივია, მაგრამ რეალურად ხანგრძლივი გულყრა გულისხმობს 15 წუთზე ნაკლებს, თანაც, როცა გულყრა ერთნაირად არის გამოხატული მთელ სხეულში, ეს უფრო კარგი ნიშანია, ვიდრე როდესაც რომელიმე ერთი უბნიდან იწყება.

მნიშვნელოვანია, რომ 24 საათის განმავლობაში არ მოხდეს გულყრის განმეორება. თუ ბავშვს მაღალ ცხელებაზე აქვს გულყრა, რომელიც დაიწყო ერთნაირად – გონების დაკარგვით, დაჭიმვით ან კანკალით ოთხივე კიდურებში, პლუს მანამდე ბავშვი იყო კარგი განვითარების და დღე-ღამეში მხოლოდ ის ერთი გულყრა იყო, მაშინ შეგვიძლია, შედარებით მშვიდად ვიყოთ.

რაც შეეხება რთულ ფებრილურ გულყრას, ის უფრო გახანგრძლივებულია და 15 წუთზე მეტ ხანს გრძელდება, შესაძლებელია, დღე-ღამეში 3 ან 4 გულყრა მოხდეს. ცხელება შეიძლება არ იყოს ისეთი მაღალი და 37.5-ზეც განვითარდეს. გულყრის შემდგომ შეიძლება იყოს რომელიმე ხელის ან ფეხის სისუსტე, ან თუ სახეზე იყო კრუნჩხვა, სახის ნახევარი იყოს ჩამოწეული და კარგად არ ფუნქციონირებდეს. ამ შემთხვევას ჩვენ ვუწოდებთ რთულ ფებრილურ გულყრას. ამ დროს არის გარკვეული რისკები ან თავის ტვინის დაზიანებისა, ან შემდგომში კვლევების ჩატარებისა.

– რა არის რისკფაქტორები?

– დღეისათვის არ არის დადგენილი, რატომ უვითარდებათ ბავშვებს სიცხეზე გულყრები. ერთი, რაც დაზუსტებით იციან, რომ ამ ოჯახებში 75 პროცენტში არის ოჯახური წინასწარგანწყობა. როცა ჩვენთანაც მოდიან შეშფოთებული მშობლები, მოჰყავთ შვილები და გვიხსნიან, რომ სიცხეზე ბავშვს ჰქონდა გულყრა, აღმოჩნდება ხოლმე, რომ მათ ან მათ და-ძმას, ან ოჯახის სხვა წევრებს, ნათესავებს ჰქონიათ ბავშვობაში სიცხისმიერი გულყრები, თუმცა დღეს ჯანმრთელები არიან.

არის შემთხვევები, როდესაც ჯერ გულყრა ვითარდება და მხოლოდ შემდეგ აღმოაჩენს მშობელი, რომ ბავშვს აქვს ცხელება, რადგან მანამდე არ ჰქონდა ნიშნები.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვის განვითარებას. თუ ბავშვს განვითარების პრობლემები აქვს, უფრო ხშირად აქვს ფებრილური გულყრები და უფრო მაღალი რისკი აქვს ეპილეფსიის განვითარებისაც.

რა იწვევს ფებრილურ გულყრას, მეცნიერებისთვის არ არის ცნობილი.

– რამდენად ხშირია ფებრილური გულყრის განმეორება?

– ბავშვების ორ მესამედს თავის ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ აქვს ფებრილური გულყრა, ერთ მესამედს შეიძლება ჰქონდეს განმეორებითი ფებრილური გულყრები. გულყრის განმეორების რისკი არის დაახლოებით 33 პროცენტი, მაგრამ, თუკი განმეორდა, იქ შეიძლება იყოს სამი, ოთხი, გვყოლია ბავშვები, რომლებსაც 7-8-10 გულყრა ჰქონიათ სკოლის ასაკამდე, მაგრამ მათი რაოდენობა არ ადიდებს ეპილეფსიის განვითარების რისკს.

ხშირად განმეორება ხდება პირველივე საათებში – 16 პროცენტში გულყრის განმეორება ხდება პირველ 24 საათში, 75 პროცენტში კი მეორდება პირველი წლის განმავლობაში. თუ თქვენს ბავშვს ჰქონდა გულყრა და ერთი წელი გავიდა, რისკი მნიშვნელოვნად შემცირებულია.

მშობელს ყველაზე მეტად 2 საკითხი აინტერესებს – გულყრის დროს რამე ხომ არ დაემართება ბავშვს და ხომ არ არის ეს კავშირში ეპილეფსიასთან. ფებრილური გულყრით ბავშვების სიკვდილობა აღწერილი არ არის, ამიტომ ფებრილური გულყრა სიცოცხლეს არანაირად არ ემუქრება.

რაც შეეხება ეპილეფსიის განვითარებას, ითვლება, რომ პოპულაციის 1 პროცენტს აქვს ეპილეფსია, ფებრილური გულყრა კი – პოპულაციის 3-4 პროცენტს. მარტივი ფებრილური გულყრის შემდეგ ეპილეფსია არ ვითარდება, რთული ფებრილური გულყრის შემდეგ ძალიან იშვიათად – 2 პროცენტი არის რთული ფებრილური გულყრის დროს ეპილეფსიის განვითარების რისკი, ისიც იმ ბავშვებში, რომლებსაც აქვთ განვითარების, ნევროლოგიური პრობლემები, გენეტიკაში აქვთ ეპილეფსია. ეს ჯგუფი ცოტა უფრო მაღალი რისკია ეპილეფსიის განვითარების, დანარჩენ შემთხვევაში 90 პროცენტი ფებრილური გულყრების არანაირ რისკს მომავალი ეპილეფსიისთვის არ ქმნის.

– როგორ ვლინდება ფებრილური გულყრა?

– იწყება, რა თქმა უნდა, ცხელებით, ბავშვი შეუძლოდ გრძნობს თავს, საერთო სისუსტე იწყება, ვითარდება გულყრა, გულყრის შემდგომ გრძელდება სისუსტე ან ძილიანობა, შესაძლებელია, ჰქონდეს კუნთების ტკივილი, რაც კუნთების დაჭიმვასთან ან კანკალთან არის დაკავშირებული, თუმცა ზოგი ბავშვი პირდაპირ გამოდის გულყრიდან და ჩვეულებრივად კარგად გრძნობს თავს, ჩივილებიც არ აქვს.

– სპეციფიკური კვლევების ჩატარება საჭიროა?

– ნევროლოგიური კვლევა ასეთ დროს ბავშვს არ ესაჭიროება. არც ენცეფალოგრაფია, არც თავის ტვინის კომპიუტერული ტომოფრაფია ან რაიმე რადიოლოგიური გამოკვლევა. თუ ხანმოკლე ცნობიერების დაკარგვის შემდეგ ბავშვი გამოვიდა ამ მდგომარეობიდან, შეიძლება, არც წავიდეთ საავადმყოფოში, ან თუ მივედით გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში, ჩათავდა გულყრა, ბავშვი ჩვეულებრივად არის, რამდენიმე საათის დაკვირვების შემდეგ, რომ არ განმეორდეს გულყრა, სახლშიც უშვებენ.

გამონაკლისს წარმოადგენენ ჩვილები 18 თვის ასაკამდე, იმიტომ, რომ ამ ასაკობრივ ჯგუფში ზოგადად ცხელება და გულყრა შესაძლებელია იყოს მენინგიტის დასაწყისი, მაგრამ 2 წლის ასაკის ზემოთ ბავშვებს მენინგიტის განვითარებისას სხვა ნიშნები აქვთ, რომელიც ექიმს მიუთითებს იმაზე, რომ აქ არ არის მხოლოდ ფებრილური გულყრა. დაავადება იწყება ცხელების ფონზე, საერთო მოდუნებით, ღებინებით, ძლიერი თავის ტკივილით, ბავშვს უჭირს თავის მოხრა. 18 თვის ასაკამდე შესაძლებელია, ეს ნიშნები არ იყოს გამოვლენილი და ასეთი თვალსაჩინო, ამიტომ, რისკი იმისა, რომ გულყრის ქვეშ იმალებოდეს ნერვული სისტემის ანთებითი დაავადება, როგორიც არის მენინგიტი, დიდია. ამერიკის პედიატრთა აკადემიის მოწოდებაა, რომ 18 თვემდე ასაკის ბავშვებს, თუ ისინი ცხელებითა და გულყრით შემოვლენ, აუცილებლად გავუკეთოთ თავ-ზურგ-ტვინის სითხის კვლევა, რათა არ გამოგვეპაროს მენინგიტი. 12-დან 18 თვემდე ასაკის ბავშვებში კი აუცილებელია დაწვრილებითი ნევროლოგიური გასინჯვა, ვინაიდან მენინგეალური სიმპტომატიკა, შესაძლოა, ძლიერ სუსტად იყოს გამოხატული.

– რა უნდა გავაკეთოთ გულყრის დროს?

– პირველი და უმნიშვნელოვანესია პოზა. არაფრით არ შეიძლება, ბავშვი იწვეს ზურგზე. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს ღებინება. თუ ამ დროს თავი გვერდზე არ აქვს, შეიძლება ნაღებინები მასის გადაცდენა და მივიღოთ ისეთი გართულებები, რომლებიც სიცოცხლისთვის შეუთავსებადია. ბავშვი უნდა დავაწვინოთ გვერდზე, შევუხსნათ, თუ რამე მოჭერილი აცვია, არავითარ შემთხვევაში არ ვეცადოთ, ენა დავუჭიროთ და პირი გავუღოთ. როცა სხეული იჭიმება, ენაც იჭიმება და ხდება უფრო პატარა. ამ დროს მშობელი ფიქრობს, რომ შესაძლებელია მოხდეს ენის გადაყლაპვა და მოხრჩობა. არავითარ შემთხვევაში ეს არ მოხდება. მოხრჩობა შეიძლება მოხდეს მხოლოდ გადაცდენით. ყველაფერი თავისით მოწესრიგდება, გულყრა დასრულდება, სხეულიც მოდუნდება, ენაც მოდუნდება და ბავშვიც გამოვა მდგომარეობიდან.

საყურადღებოა გულყრის ხანგრძლივობა. გულყრების უმრავლესობა სრულდება პირველ 3 წუთში და შემდეგ აღარ არის დაჭიმვა. თუ გულყრა 5 წუთზე მეტ ხანს გრძელდება, ამ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ ბავშვის საავადმყოფოში წაყვანაზე.

– საჭიროა თუ არა მკურნალობა?

– მარტივი ფებრილური გულყრის დროს გამოკვლევები არ არის საჭირო, რთული ფებრილური გულყრის დროს ექიმთან შეთანხმებით ზოგჯერ ვაკეთებთ ხოლმე ელექტროენეცეფალოგრაფიულ გამოკვლევას. მარტივი ფებრილური გულყრის დროს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მისცეთ ბავშვს ეპილეფსიის საწინააღმდეგო წამალი.

ფებრილური გულყრები ფასდება, როგორც კეთილთვისებიანი პათოლოგია, რომელიც არ არის ასოცირებული თავის ტვინის რაიმე არსებით დაზიანებასთან.

მილოცვა

თუ მართლმადიდებელი ნათესაობის სარისხზე სუმარი, ალმათ, ფეფეპისცალელს ვერავინ შეედავება. ფეფეპისცალელის სუკეთესო დაძმური, სამაგალითო სიყვარულით იცხოვრეს და 80 წელი უკან მოიფოვეს

ნანული (ძაბიკო) და მურმან (ბოჩია) კეშელავებმა

მიმდინარე წლის 20 მარტს.

კიდევ დიდი ხნის სიცოცხლეს, სისარულსა და სიყვარულს ვუსურვებთ იუმილარ საყვარელ და-ძმას შვილებითა და შვილიშვილებით.

მერი კეშელავა, ირა და რაჟდენ ქარდავები

ასტროპროგნოზი

7 აპრილისათვის

ვერძი – სავარაუდოდ, გეგმები შეგეცვლებათ. შესაძლოა, ახალი მოვალეობებიც დაგეკისროთ. **კურო** – დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, თუმცა დაბრკოლებებს თავს მაინც ვერ დააღწევთ. ნერვებს გაუფრთხილდით. **ტყუპები** – სასიცოცხლო პოტენციალი მკვეთრად ქვეითდება. სირთულეები შეგექმნებათ ხელმძღვანელობასთან და მეგობრებთან ურთიერთობაში. **კირჩხიბი** – ყურადღების ცენტრში სამსახურებრივი პრობლემები ექცევა. დღის მეორე ნახევარი სახლში გაატარეთ. **ლომი** – გუნება-განწყობას არასასიამოვნო ინფორმაცია გაგიფუჭებთ. თავს დასვენებისა და მოდუნების უფლება მიეცით. **ქალწული** – შრომისუნარიანობა ქვეითდება. ეცადეთ, ადრე დაწყებული საქმეები მაინც დაამთავროთ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა. საყიდლებზე წასვლა გაგახალისებთ. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **ღრიანკალი** – მოაწესრიგეთ დოკუმენტები. დამშვიდდით და მოდუნდით. მთლიანობაში, პასიური დღეა. **მშვილდოსანი** – ერიდეთ ინტიმურ ურთიერთობებს. დათრგუნეთ სიამაყე. **თხის რქა** – სანამ მოქმედებას დაიწყებთ, სიტუაცია საგულდაგულოდ გააანალიზეთ. ინდივიდუალური მუშაობა რეკომენდებული არ არის. **მერწყული** – პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ინტუიციას მიენდეთ. საქმიანი მოლაპარაკებები წარმატებით დაგვირგვინდება. **თევზები** – მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, შინაგანად დაძაბული და აფორიაქებული ხართ. უმჯობესია, თუ განმარტოვდებით და დაისვენებთ მყუდრო გარემოში.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სოფელთა სახელწოდება შუა აზიაში; 2. ყველისგულიანი ქართული ორცხობილა; 3. გობელენის ერთ-ერთი სახეობა; 4. საბრძოლო იარაღის მწარმოებელი ქართული ფირმა; 5. ბიჭვინთის ძველბერძნული სახელწოდება; 8. მრგვალად, უწახნაგოდ დამუშავებული ძვირფასი ქვა; 12. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 13. ჭადრაკის პარტიის დასკვნითი ნაწილი; 14. უბანი თბილისში; 16. მარცვლეული მცენარე; 18. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 20. თხის ან ცხვრის ტყავისაგან დამზადებული ღვინის, არყის ჭურჭელი.

თარაზულად: 6. ძმრით, ფქვილით, ხახვითა და ათქვეფილი კვერცხით შეზავებული მოხარშული ქათმის წვნიანი; 7. სკანდინავიელი პოეტი-მომღერლები; 8. ბრაზილიური არაყი; 9. ბრიტანეთის კინოაკადემიის პრიზი; 10. წითელი ფერის, მშრალი, ქართული სამარკო ღვინო; 11. შვეიცარიაში განთავსებული ევროპაში ყველაზე გრძელი სარკინიგზო გვირაბი; 15. ცილისწამება, მონაჭორი ვინმეს სახელის გასატეხად; 17. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 19. ორკუზიანი აქლემი; 21. მუნჯი კინოს ფრანგი კომიკოსი; 22. მეცნიერება ცხენების შესახებ; 23. პატარა, სამკუთხა ალამი. *შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პლაზმა; 2. ლონდრე; 3. მუშტაიდი; 4. ალმასი; 6. მორიკონე; 8. მდოგვი; 11. ბოტანიკა; 12. იოკასტე; 16. დანტე; 17. ფრაეე; 18. სიგმა.

თარაზულად: 1. პროლოგი; 5. ცხუმი; 7. მუხთალი; 9. ზუგდიდი; 10. მარშალი; 13. ვენდეტა; 14. როდენი; 15. ჯინი; 19. კასკადი; 20. ბროსნანი; 21. ჰეინიკენი; 22. მახათა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. იალბუზი; 2. გაგარინი; 3. მოხელე; 4. ქცევა; 5. ბადაგონი; 8. ბარახასი; 12. ზარა; 13. პოლემიკა; 14. არაგვი; 16. ტარიელი; 18. კოდაი; 20. სურო.

თარაზულად: 6. საფიჩხია; 7. პრომოცია; 8. ბეჟარი; 9. ფურკა; 10. ფიტარეთი; 11. გრიზმანი; 15. სოლისიტორი; 17. ჯალიტა; 19. ვილსდორფი; 21. მიურიდი; 22. საკვოიაჟი; 23. კოსმოსი.

სამგლოვიარო განცხადებები

ზემილ მაჭავარიანის
ხსოვნა

77 წლის ასაკში გარდაიცვალა ზემილ მაჭავარიანი, რომელმაც გასული საუკუნის 60-იან წლებში უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული კრივის განვითარებაში. ზემილი დაიბადა და გაიზარდა დიდი სპორტული ტრადიციების მქონე ქალაქ ქუთაისში. აქ ეზიარა კრივს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ივანე მარქაროვის ხელმძღვანელობით, რომელსაც მის შესახებ უთქვამს: „ზემილს სამი კაცის ძალა აქვს“.

წლები წლებს მისდევდა... ზემილ მაჭავარიანი 11 წელი ფლობდა საქართველოს ჩემპიონის ტიტულს, მრავალჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პრიზიორი და ზონალური ჩემპიონატის გამარჯვებული, ქვეყნის ნაკრების წევრი, მინიჭებული ჰქონდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება; უცხოეთში გამართულ ერთ-ერთ ტურნირზე მას კრივის ჯენტლმენის საპატიო წოდება მიანიჭეს და ბრინჯაოში ჩამოსხმული მოკრივის ქანდაკება ჯილდოდ გადასცეს. რინგზე ზემილი მართლაც ჯენტლმენი იყო, დამარცხებულს ფეხზე თავისი ხელით წამოაყენებდა და გაამხნევებდა, მოწინააღმდეგეს ნოკაუტისთვის ვერ იმეტებდა, რინგს ჩამოშორდებაო.

უყვარდათ თავმდაბალი, ჰუმანური მოკრივე, სიცოცხლის ბოლომდე ქართული კრივის ერთგული ქომაგი და ჭეშმარიტი მემატიანე.

რინგის შემდეგ მან მთელი ცხოვრება თბილისში შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობას დაუკავშირა. აქაც დიდი სიყვარული მოიპოვა. უმძიმეს 90-იან წლებში მონაწილეობდა ჯერ ცხინვალის, შემდეგ აფხაზეთის ომში და ბოლოს პოდპოლკოვნიკის წოდებით გავიდა თადარიგში.

ზემილს უყვარდა დიდი ქართველი პოეტის მუხრან მაჭავარიანის პოეზია და განსაკუთრებით იასე მაჭავარიანისადმი მიძღვნილი ერთი პატარა ლექსი:

„საყდრით გამოდის პატარა კახის
კარის მოძღვარი კახთ-მაჭავარი,
რომელიც თურმე ყოფილა ნაღდი
კაცი და მერე, კაცი რავარი! –
ჩემი არ იყოს, ქართველი ხალხი
ყოფილა თურმე მისთვის მთავარი“.

დიდ სპორტსმენს სისხლში ჰქონდა გამჯდარი დიდი მუხრანის ეს სტრიქონები.

სამუდამოდ წავიდა ჩვენგან სახელქებული და პატრიოტი კაცი. დატოვა დიდი სიყვარულით შექმნილი მრავალრიცხოვანი ოჯახი და მასზე მლოცველი მეუღლე, ქალბატონი ეთერ მაჭავარიანი.

... თბილისში, ნაძალადევში, ერთ პატარა ბინაში დღესაც კედელზე კიდია შთამომავლობისათვის ღირსსახსოვარი, რინგზე ბრძოლებში გაცვეთილ-ფერგადასული კრივის ჯენტლმენის ხელთათმანები.

რეზო მიშველაძე, გრიგოლ შონია, ლევან კენჭაძე, მირზა გოლეთიანი, სერგო ჭეიშვილი, გორცი ჩხობაძე, სერგო ქალდანი, მურმან ხაჭაპურიძე

უახლოესი მეგობრები თანაუგრძნობენ ლია და ჯემალ ხარებავებს დედისა და სიდედრის

ოლია ხაჟომია-კეკელიას

გარდაცვალების გამო.

პარტია „ახალი საქართველო“ ღრმა მწუხარებით იუწყება თანაპარტიელისა და უღალატო მეგობრის

გურამ ზურაბაშვილის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: 9 აპრილს, 14 საათზე;

მისამართი: დედოფლისწყაროს რაიონი, სოფელი არხილოსკალო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

თინათინ მაღალაშვილი ავიაკატასტროფას გადაურჩა

დიზაინერი თინათინ მაღალაშვილი ავიაკატასტროფას გადაურჩა. იგი უკრაინაში მეორე ქართველ დიზაინერ მადონა ხარატიშვილთან ერთად იმყოფებოდა. ისინი უკრაინიდან საქართველოში მოემგზავრებოდნენ, როდესაც თვითმფრინავს პრობლემები შეექმნა.

ინფორმაცია ამის შესახებ თინათინ მაღალაშვილმა თავად გაავრცელა:

– ავიაკატასტროფას გადავურჩით და ამიტომ ვსხედვართ ასე გასუსულები კიევის აეროპორტში. იმედია, შემდეგი თვითმფრინავი გამართული აღმოჩნდება და არ მოგვიწევს პარაშუტით დაშვება თბილისში.

მხატვარი ლია ბარნაბიშვილი კუთვნილი ბინიდან გამოასახლეს

მხატვარი ლია ბარნაბიშვილი, რომლის შემოქმედებასაც მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია, კუთვნილი ბინიდან გამოასახლეს.

ინფორმაცია ამის შესახებ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობმა მიშა გომიაშვილმა გაავრცელა:

– სახლიდან გამოსახლებულია მხატვარი ლია ბარნაბიშვილი!

მივმართავ საზოგადოებას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მხატვრებსა და ჟურნალისტებს, გთხოვთ, მობრძანდეთ ლია ბარნაბიშვილის სახლთან, სანკტ-პეტერბურგის 10 ნომერთან და გვერდში დაუდგეთ ქალბატონ ლიას.

ქალბატონი ლიას სახლი მუზეუმივითაა, უნიკალური ნამუშევრები აქვს, რომლებიც ბუმბულებითაა აწყობილი და მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. მან შექმნა ხელოვნებაში ახალი მიმართულება.

ფოთში კულტურული მემკვიდრეობა ნადგურდება

საბედნიეროდ, საქართველო მდიდარია თავისი კულტურით და არაერთ ნაგებობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული. ბევრი მათგანი უმძიმეს მდგომარეობაშია და გადაუდებელ რესტავრაციას საჭიროებს.

უმძიმეს მდგომარეობაშია ფოთში, აღმაშენებლის გამზირზე მდებარე შენობა, რომელიც ნამდვილად უნიკალური და ულამაზესია. შენობის ფოტოებს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის პროდიუსერი ლაშა ზარგინავა ავრცელებს:

– თითქმის განადგურებული კულტურული მემკვიდრეობა... ფოთი, აღმაშენებლის გამზირი...

შენობას კერძო მესაკუთრე ჰყავს, ოფშორში რეგისტრირებული კომპანია, რომელიც სახელმწიფოსთან კონტაქტზე არ გამოდის. ეს ვიცი, რაც ვიცი ამ შენობაზე. არადა, უნიკალური არქიტექტურაა, ანალოგი რომ არ აქვს, ისეთი.

გიორგი უშიკიშვილი ფოლკლორის ცენტრის დირექტორის წინააღმდეგ

მომღერალი და ანსამბლ „ლაშარის“ ხელმძღვანელი გიორგი უშიკიშვილი საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორ გიორგი დონაძეს უპირისპირდება და მას რეგიონებში არსებული ანსამბლების უყურადღებობაში ადანაშაულებს.

გიორგი უშიკიშვილი:

– ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორმა გიორგი დონაძემ განაცხადა, დღევანდელმა კულტურის სამინისტრომ ფოლკლორი ააყვავა და ძალიან ბევრ ფულს გვაძლევსო – ცენტრის ბიუჯეტი მილიონზე მეტია. ჩემი დირექტორობის პერიოდში ბიუჯეტი დღევანდელის ნახევარი იყო. ვეთანხმები, აბა, კაცი ფოლკლორის ცენტრის დირექტორად დასვეს. ამასობაში მისი ანსამბლისთვის ცალკე სიიპ შექმნეს და ბიუჯეტიდან დაფინანსება მისცეს – 250.000 ლარზე მეტი. ასევე ცენტრის თანამშრომელთა რაოდენობა სამჯერ გაიზარდა და ნეპოტიზმი ყვავის.

აბა რაა, აყვავდა თქვენთვის ფოლკლორი. იმ მოხუცებმა რა ქნან, რეგიონებში 80 ლარს რომ იღებენ, 5 კილომეტრს ფეხით რომ დადიან რეპეტიციაზე? თან იმასაც რომ აყვედრიან და ამ ხალხს პატრონი არ ჰყავს, ეს არის ხომ ფოლკლორის აყვავება?

მოსხდნენ ბიჭები გაკეთებულზე და გაპრიალებულზე. დაირიგეს ხელფასები, პრემიებსაც არ იკლებენ და ის ხალხი, ვისგანაც სიმღერა ისწავლეს, მშივრები არიან. გრცხვენოდეთ!

ანუ გამოდის, რომ დღეს ფოლკლორი არის მხოლოდ გიორგი დონაძე, მისი ანსამბლი და მისი მეგობრები. ჩვენ კი, დანარჩენები, ვინ ვართ, თუ გვეტყვიან, მადლობელი ვიქნები.

პ.ს. ჩემი ანსამბლი არასდროს, არცერთი ხელისუფლების დროს არ დაფინანსებულა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

რუსთაველის თეატრი მექსიკაში მიიწვიეს

მეხიკოს ისტორიული ცენტრის ფესტივალის ფარგლებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასულ თეატრალურ დასებს შორის მაყურებელთა წინაშე ქართველი მსახიობებიც წარდგნენ.

რუსთაველის თეატრი აღმოჩნდა ერთადერთი საქართველოდან, რომელიც მექსიკაში საერთაშორისო ფესტივალზე იქნა მიწვეული.

ქართულმა დასმა მეხიკოს ისტორიული ცენტრის ფესტივალის ფარგლებში რობერტ სტურუას მიერ დადგმული სპექტაკლი „მარია კალასი – გაკვეთილი“ ესპერანცა ირისის სახელობის თეატრში ითამაშა. სპექტაკლში მთავარ როლს რუსთაველის თეატრის მსახიობი ლელა ალიბეგაშვილი ასრულებს და ის მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე კაშკაშა საოპერო ვარსკვლავ მარია კალასს განასახიერებს.

ღონისძიება საქართველოსა და მექსიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლის იუბილეს მიეძღვნა. მექსიკურ პრემიერას საქართველოს საელჩოს მიწვევით მექსიკაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, მექსიკის საგარეო საქმეთა სამდივნოსა და სხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პრემიერამ სრული ანშლაგით ჩაიარა. სპექტაკლის დასასრულს კი მექსიკაში საქართველოს ელჩი ზურაბ ერისთავი სტუმრებს ქართული ღვინით გაუმასპინძლდა.

სამეგობაში თინათინ მღვდლიაშვილის პოეზიის საღამო გაიმართება

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში 7 აპრილს, ხარების ბრწყინვალე დღესასწაულზე, ცნობილი ქართველი პოეტის თინათინ მღვდლიაშვილის პოეზიის საღამო გაიმართება.

„მე რომ დავიბადე, იდგა ხარება და ზეცა ნეტარებდა“ – ასე ეწოდება ღონისძიებას, რომელსაც დაესწრებიან სასულიერო პირები, მწერლები, პოეტის ოჯახის წევრები და მეგობრები.

თინათინ მღვდლიაშვილი ავტორია ისეთი ლექსებისა, როგორებიც არის „ხმალი ავლესოთ, ქართველებო“, „მარტოხელა, მარტოსულო ქალბატონო“, „აღმაშენებელი თბილისს მობრძანდება“, „დადეთ იარაღი, ბიჭებო“...

პოეტის საღამოზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პროგრამა
პარასკევი 7 აპრილი

07.00 დოკ/ფ "ჯეიმის საკვების ძიება" **08.00** კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "ხანმოკლეXX საუკუნე" **14.30** "ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" **15.00, 03.00** "C სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** დოკ/ფ "ცნობისმოყვარეობა. მზის შტორმი" **21.00** ტ/სერ. "**ჯელვეტი**" **22.00** "რეალური სივრცე" **23.00** მხ/ფ "**ერინ ბროკოვიჩი**" (ჯ.რობერტსი) **01.00** მხ/ფ "**სერენიტი**" (ჯ.უოდონი)

08.00 დ/ფ "პირველი ეთიოპელი ქრისტიანი ბერების კვალდაკვალ" **09.00** დ/ფ "სიგარეტის გადაგდება" **10.00** "გეოფაქტორი" **10.20** დ/ფ "გზის თეატრის თავგადასავალი" **11.35** დ/ფ "შოტლანდია" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "ეპიცენტრი" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**მეგრძოლი თევზი**"

05.50, 14.40 სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.15** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პაბარაძლი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** მხ/ფ "**რომეო და ჯულიეტა**" **23.30** მხ/ფ "**მუსიკის პანგები**" **01.30** მხ/ფ "**პირველყოფილი ფიში**" **03.35** მხ/ფ "**კარგი ადამიანები**"

06.00, 19.00, 20.03 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.55** სერ. "**ინდური საბა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **20.50** ლოტო **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** სერ. "**ბევი ცოლის დაქალები**" **13 00.00** სერ. "**სამშობლო**" **1**

08.00 ან/სერ. "პუკა" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**მშობლები**" **13.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **15.00** სერ. "**სასტუმრო**" **17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **21.00** სერ. "**გოთორა**" **22.30** მხ/ფ "**ცუდი ბიჭები**" **00.45** მხ/ფ "**ცუდი ბიჭები-2**" **03.25** მხ/ფ "**ჯეკი**"

06.15 კვირაიკე **07.00** დ/ფ "დედაო ღვთისა" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** მხ/ფ "**ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა**" **12.10** პორტრეტები **13.05** აქტუალური თემა-აბორტი **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ბზა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** ერთი წვეთი **15.50** სამყაროს შექმნა **16.00** საუფლონი-"ხარება" **16.15** კონცერტი **17.05** ჩვენი საგანძური **17.10** მეექვსე კვირის სამოციქულო საკითხის განმარტება **17.30** საუფლონი "ხარება-გიხაროდენ, ქალწულო და დედაო..." **17.55** შვიდგზის ლოცვა **18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.20** მხ. ფილმი "დიმიტრი II" II **20.40** ძილი ნებისა "პატარა მონადირე" **20.55** შვიდგზის ლოცვა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ქვეშით ამღერებული პოეზია **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "ნეტარი მამის კვალდაკვალ" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** ღვთის სახლი "ცხინვალის საკათედრო ტაძარი" **00.35** მგზავრები წუთისოფლისა **01.00** დ/ფ "მრავალთათვის საკეთილო-ნანა ხატისკაცი" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

7.00 "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) **8.00, 13.30, 15.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **10.00** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** სერ. "**ბემი**" **23.10** სერ. "**ესკიბარი**" **1.00** "კონტაქტი" **1.30** სერ. "**ღიმილი ფეხსაცმლის ლიფერი**" **2.00** მხ/ფ "**ძირითადი ინსტინქტი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

7 აპრილისთვის

აშშ დოლარი — 2.4276

ევრო — 2.59

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0292

100 რუსული რუბლი — 4.3279

ამინდის პროგნოზი 7 აპრილისთვის

31 მარტიდან

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

მაგარი ყდა
151 გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი

5 აპრილიდან

მარტორქები ბლინებს არ ჭამენ

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

6 აპრილიდან

საბავშვო ბიბლია

ფასი გაზეთთან ერთად 24 ლარი

ანეკდოტი

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– დღეს ძალიან ლამაზი ხარ.

– მხოლოდ დღეს?

– ჰო, მხოლოდ დღეს.

•••

ექიმი ქალს მიმართავს:

– კი მაგრამ, ახლახან იმშობიარეთ და უკვე აღრიცხვაზე დადექით? რა, სამშობიაროდან პირდაპირ ლოგინს მიაშურეთ?

– არა, ჯერ წვნიანი მოვამზადე...

•••

ყვავილების მაღაზიაში მამაკაცი გამყიდველს ეუბნება:

– თაიგულის შერჩევაში ვერ დამეხმარებით? მინდა, მეგობარ ქალს შევურიგდე.

– მოდით, თქვენი რეაბილიტაციის ზომა შევარჩიოთ. რა ჩაიდინეთ?

– ვუწოდე სულელი.

გამყიდველმა ულამაზესი ვარდი გაუწოდა.

– ...თხა.

გამყიდველმა მეორე მიაწოდა.

– ...გონებაჩლუნგი.

გამყიდველმა მესამე მიაწოდა.

– ...სქელი.

გამყიდველმა ერთი ვარდი უკანვე გამოართვა და ეუბნება:

– ეს ვარდები მისთვის კი არა, თქვენთვის.

•••

ქალი კაცს ეკითხება:

– გუშინ უგონოდ დავთვერი და ჩვენ შორის რამე მოხდა?

– არა, არაფერი ყოფილა.

– ჰოო, როგორ არ გიმართლებს...

•••

შვილი დედას ეკითხება:

– დედიკო, ჩვენი გაზქურა ასეთი ჭუჭყიანი რატომაა?

– მამამ ერბოკვერცხი მოიმზადა.

– რა, უტაფოდ?

•••

გამხდარი, ინტელიგენტი მეუღლე სახლში ბრუნდება, იქ კი ცოლი საყვარელთან ერთად ლოგინში ნებივრობს. საყვარელი საწოლიდან წამოდგა, სიმაღლე ორი მეტრი, მხარბეჭიანი, დაკუნთული. ქმარმა შეათვალიერა, პისტოლეტი ამოიღო და ეუბნება:

– რა კარგია, ამხელა რომ ხარ, თორემ სათვალე სამსახურში დამრჩა.

•••

კაცი სოფლის გზაზე მიდის და ხედავს, შემოღობილ ნაკვეთზე წარწერაა მიკრული: „ვყიდი სახლს“.

კაცმა ღობის შიგნით გადაიხედა, სახლი ვერ შენიშნა და ჩაილაპარაკა:

– უკვე გაუყიდიათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

ვუპი გოლდბერგმა ქალებისთვის მარიხუანიანი წამალი გამოუშვა

ჰოლივუდის მსახიობმა ვუპი გოლდბერგმა მარიხუანაზე დამზადებული წამლების გამოშვება დაიწყო, რომლებიც ქალებისთვისაა განკუთვნილი.

60 წლის კინოვარსკვლავმა, რომელიც დიდი ხანია მხარს უჭერს მსუბუქი ნარკოტიკის ლეგალიზების მოძრაობას, წამლები კალიფორნიელ ექსპერტ მაია ელისაბედთან თანამშრომლობით გამოუშვა და მათ ერთობლივ ბრენდს Whoopi & Maya დაერქვა.

გოლდბერგმა გადაწყვიტა, გამოუშვას წამალი, რომელიც მენსტრუალური ტკივილების შესამსუბუქებლადაა განკუთვნილი. მსახიობმა აღნიშნა, რომ მოცემული პრობლემა მეტად სერიოზულია. მისი თქმით, მას აღნიშნული წამლის შექმნისკენ შვილიშვილების ჩივილებმა უბიძგა, რომლებიც ყოველთვიურად განიცდიან ტკივილებს.

ვუპიმ ასევე აღნიშნა, რომ მისი პროდუქცია არ არის განკუთვნილი მათთვის, ვისაც „კაიფის“ მიღება სურს, ვინაიდან სამედიცინო მარიხუანა ამგვარ ეფექტს არ იძლევა. მისი თქმით, წამალი მხოლოდ ტკივილის მოხსნას ემსახურება. წამლების კოლექციაში იქნება საცხი, რომელიც მომხმარებელმა მუცლის ქვედა ნაწილში უნდა წაისვას, ელექსირი სააბაზანოსთვის და ჩაიში ჩასამატებელი წვეთები.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რომან აბრამოვიჩმა ედენ აზარი შეაქო

ჩელსის მფლობელმა რომან აბრამოვიჩმა ედენ აზარზე ისაუბრა და თქვა, რომ აზარი ინგლისში საუკეთესო ფეხბურთელია, თუმცა მესის დონის არ არის.

– აზარი მესის ვერ შეედრება, მაგრამ, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ის ინგლისში საუკეთესო ფეხბურთელია და ამას მხოლოდ იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩელსიში თამაშობს. ვამაყობ, რომ ჩემს გუნდში ასეთი ფეხბურთელია. წელს ჩელსი ძალიან კარგ სეზონს ატარებს და ამისთვის ყველას დიდ მადლობას ვუხდი, – განაცხადა რომან აბრამოვიჩმა.

აზარმა მანჩესტერ სიტისთან დუბლი შეასრულა და სიტისთან გამარჯვების შემდეგ ჩელსი ინგლისის ჩემპიონობას კიდევ უფრო მიუახლოვდა.

იურგენ კლოპი: „ბორნმუტის მეორე გოლის შემდეგ კინაღამ გული ამერია“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა ბორნმუტთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ როდესაც ბორნმუტმა მეორე გოლი გაიტანა, მას კინაღამ გული აერია.

კლოპის თქმით, ლივერპულმა კიდევ უნდა ისწავლოს საკუთარ შეცდომებზე და მსგავსი რამ აღარ მოხდება.

კლოპმა თავის ლიდერ ფილიპე კოუტინიოზეც ისაუბრა და თქვა, ის იმიტომ შეცვალა, რომ შესვენებაზე თავი ცუდად იგრძნოო.

ლივერპულმა საკუთარ მოედანზე ბორნმუტის დამარცხება ვერ შეძლო, თუმცა დიდი ხნის განმავლობაში იგებდა და ბორნმუტმა ანგარიში 86-ე წუთზე გაათანაბრა.

საბოლოოდ მატჩი ფრედ 2:2 დასრულდა და ლივერპულმა მნიშვნელოვანი ორი ქულა დაკარგა.

დიეგო კოსტას დისკვალიფიკაცია ემუქრება

ლონდონის ჩელსის ფორვარდ დიეგო კოსტას, შესაძლოა, რამდენიმე-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცენ. ამის მიზეზი კი ის არის, რომ კოსტამ მანჩესტერ სიტისთან შეხვედრის დროს ვინსან კომპანის ფეხი ჩაარტყა მუხლში, თუმცა მატჩის არბიტრს ეს მომენტი გამოეპარა, ამიტომ კოსტა მოედნიდან არ გაუძევებიათ.

მიუხედავად ამისა, ინგლისის საფეხბურთო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი ამ ეპიზოდს ყურადღებით შეისწავლის და კოსტას, სავარაუდოდ, მკაცრად დასჯიან.

მანჩესტერ სიტისთან შეხვედრა ჩელსიმ 2:1 მოიგო და ინგლისის ჩემპიონობას კიდევ უფრო მიუახლოვდა.

მეორე ადგილზე მყოფ ტოტენჰემს ჩელსი 7 ქულით უსწრებს.

კევინ გამეირომ რეალთან მატჩის წინ ტრავმა მიიღო

მადრიდის ატლეტიკოს ფორვარდმა კევინ გამეირომ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და, სავარაუდოდ, რეალთან შეხვედრას გამოტოვებს.

ატლეტიკოსთვის გამეიროს არყოფნა დიდი დანაკლისი იქნება, რადგან წლევანდელ სეზონში გამეირო მადრიდული გუნდის მთავარი ბომბარდირია.

ტრავმა ასევე აწუხებს ატლეტიკოს არგენტინელ ნახევარმცველ ნიკოლას გაიტანს.

რეალი საკუთარ მოედანზე ატლეტიკოს შაბათს, 8 აპრილს უმასპინძლებს და ეს შეხვედრა რეალისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ესპანეთის ჩემპიონატის დასრულებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება და ყველა ქულას ოქროს ფასი აქვს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯვროსვოხდი ↘



შვეულად: 1. ძველებური ცხვირზე დასამაგრებელი სათვალე; 2. ხოხბისნაირთა პატარა ფრინველი; 3. ქართული ხალხური ცეკვა; 4. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; 6. გუნდური შეჯიბრება მძლეოსნობასა და ცურვაში; 8. კომბინაცია პოკერში; 11. ბროშში, ბეჭედში ჩასმული მსხვილი ბრილიანტი; 12. ტვინის შერყევა; 16. უნგრული ღვინო; 17. ამერიკელი მხატვარი, ტელეგრაფის აპარატის გამომგონებელი; 18. მგალობელი ჩიტი.

თარაზულად: 1. საძინებელი, სამგზავრო სარკინიგზო ვაგონის გამომგონებელი ამერიკელი მრეწველი; 5. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საბერძნეთში; 7. დაჩეჩილი მატყლი წმინდა შალის ქსოვილის დასამზადებლად; 9. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ნეაპოლის ყურეში; 10. ქართული ტელეკომპანია; 13. ფულის ერთეული მონღოლეთში; 14. ამერიკის სტეპებში გავრცელებული მგელი; 15. გემის მზარეული; 19. ქართველი რაგბისტი; 20. ტვირთის მცირე სიმაღლეზე ასაწევი მექანიზმი; 21. დედამიწის მკვრივი გარსი; 22. ხუმარა, ოხუნჯი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა